პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მზრუველთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 274 (10971) | ხუთშაბათი, 21 ნოემბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ხრუშჩოვის დეპეშა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან ამხანაგ ანტონინ ნოვოტნისადმი (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ვოროშილოვის დეპეშა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტ ამხანაგ ანტონინ ნოვოტნისადმი (1-ლი გვერდი).

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — ი. გობეჩია. — ის, რაც საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე არ თქმულა (მე-2 გვერდი).

გ. მარუაშვილი. — ოქტომბრის ბარიკადებზე (მე-2 გვერდი).

მოუვლელი პირუტყვი და უდარდელი ხელმძღვანელები — „კომუნისტის“ რეიდი (მე-2 გვერდი).

მ. წერეთელი. — ფილმი დიდი ლენინის სიმბოლოებზე (მე-3 გვერდი).

აფხაზეთის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა. — ვ. აფხაიძე. — ხელოვნური თანამედროვეობის ეტაპზე (მე-3 გვერდი).

ი. თედიაშვილი. — აქ ეცნობიან მოწინავეთა გამოცდილებას (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

კომუნიზმის მშენებლობის დიადი გეგმების პროპაგანდა

პარტიული განათლების სისტემაში დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის მასალების შესწავლა.

როგორც ცნობილია, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე მოცემულია ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გასული 40 წლის მანძილზე სოციალისტური მშენებლობის დიად გამარჯვებათა ღრმა ანალიზი, დასახულია კომუნიზმისაკენ საბჭოთა საზოგადოების შემდგომი წინსვლის დიადი პერსპექტივები.

კრებებზე და საუბრებში, რომლებიც ამ დღეებში მიმდინარეობს, პრესაში გამოქვეყნებულ წერილებში მუშები და გლეხები, ინტელიგენცია მხურვალედ ეხმაურებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვას „საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი“.

პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, ჩვენი პროპაგანდისტებისა და აგიტატორების საპატიო ვალია ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ თვითეულმა საბჭოთა ადამიანმა ღირსეული ადგილი დიკავოს კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისათვის ბრძოლაში.

პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი საქმეა გააჩაღონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის მასალების ფართო პროპაგანდა. უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი და სესიის სხვა დოკუმენტები ყველა მშრომელს გავაცნოთ აგიტატორების, წამკითხველ-მესაუბრეების, ლექტორების დახმარებით. საარჩევნო ოლქებში უნდა ჩატარდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატების მოხსენებები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის შედეგების შესახებ.

შეუდგებიან რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის მასალების შესწავლას, საჭიროა პროპაგანდისტებმა მჭიდროდ დაუკავშირონ ისინი ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, რაიონის, საწარმოს, კოლმეურნეობის წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებს. წრეების, პოლიტსკოლებისა და სემინარების მსმენელებმა მთლიანად უნდა დაინახონ ის დიადი გარდაქმნები, რომლებიც მიღწეულია ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 40 წლის მანძილზე, კიდევ უფრო ღრმად შეიგნონ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი ამ გარდაქმნათა განხორციელებაში. აუცილებელია დამაჯერებლად და გასაგებად ვუჩვენოთ მსმენელებს, რომ ამჟამად, როცა საბჭოთა კავშირმა — მსოფლიოში პირველმა გამარჯვებულმა სოციალიზმის ქვეყანამ — სერიოზულად წასწია წინ თავისი სახალხო მეურნეობა, მიაღწია მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის განვითარების მაღალ დონეს, — ყველა საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ კომუნიზმი შორეულ მომავალს აღარ წარმოადგენს.

პროპაგანდისტების ამოცანაა აჩვენონ, რომ პარტიის დიადი გეგმების განხორციელების რწმენა ეყრდნობა მოწინავე ტექნიკით აღჭურვილ მძლავრ სოციალისტურ ინდუსტრიას, მსხვილ მექანიზებულ სოფლის მეურნეობას, მეცნიერებისა და ტექნიკის შესანიშნავ მიღწევებს, ჩვენი ქვეყნის დაუშრეტელ ბუნებრივ სიმდიდრეს, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის არსებობას და სოციალისტური სახელმწიფოების მჭიდრო თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მასალების პროპაგანდა აქტიურად რომ უწყობდეს ხელს იმ ამოცანების გადაჭრას, რომლებიც თანამედროვე ეტაპზე დგას პარტიის წინაშე, საჭიროა ამ მუშაობაში ფართოდ ჩავბათ ყველა კულტურული დაწესებულება — ბიბლიოთეკები, კლუბები, კულტურის სასახლეები. ფართოდ უნდა ვაწყობდეთ ლექციების კითხვას, ვმართავდეთ ოქტომბრის მეორმოცე წლისთავისადმი მიძღვნილ ლიტერატურის გამოფენებს. პროპაგანდისტებს და მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელ კომუნისტებს დიდ დახმარებას უნდა უწევდნენ პოლიტიკური განათლების სახლები და კაბინეტები. ახლა, როცა პარტიის ბევრ საქალაქო და რაიონულ კომიტეტში დარგობრივი განყოფილებები ლიკვიდირებულია, ამ სახლებისა და კაბინეტების — პოლიტიკური განათლების ცენტრების როლი კიდევ უფრო იზრდება. ისინი უნდა ზრუნავდნენ პროპაგანდისტთა მეთოდური ოსტატობის სრულყოფისათვის, ყოველდღიურად ეხმარებოდნენ მათ, უზრუნველყოფდნენ ლიტერატურით, კონკრეტული ციფრობრივი და ფაქტიური მონაცემებით თავიანთი რაიონის ეკონომიკიდან.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ ხანს პოლიტიკური განათლების სახლებმა და კაბინეტებმა თავიანთი მუშაობა რამდენადმე გააუმჯობესეს. მაგრამ ახლა, როცა პარტიული განათლების ქსელში მიმდინარეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის მასალების შესწავლა, უნდა გავაფართოვოთ ამ სახლებისა და კაბინეტების მუშაკები, რომ არ გაჩენილიყონ მზადება ამ დიდმნიშვნელოვანი სამუშაოსათვის.

საიუბილეო სესიის მასალების პროპაგანდაში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ჩვენმა გაზეთებმა. ისინი მშრომელთა შორის უნდა ეწეოდნენ კომუნიზმის მშენებლობის დიადი პერსპექტივების პოპულარიზაციას, რაზმავდნენ მშრომელებს სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიური მონაწილეობისათვის.

პარტიული პროპაგანდა საბჭოთა ადამიანებს უნდა განუმტკიცებდეს რწმენას კომუნიზმის საქმის გამარჯვებისადმი, კაპიტალისტური წყობილების წინაშე სოციალისტური წყობილების უპირატესობისადმი, უნერგავდეს მათ შემოქმედებითს ენერგიასა და აქტივობას პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ანტონინ ნოვოტნის

პატივცემულო ამხანაგო პრეზიდენტო,

ნება მიბოძეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პირადად ჩემი სახელით გულითადი მოლოცვა გადმოგცეთ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის მაღალ პოსტზე თქვენი არჩევის გამო და წარმატებანი გისურვოთ თქვენს ნაყოფიერ მუშაობაში, რომლის მიზანია ჩეხოსლოვაკიის ხალხის შემდგომი აყვავება, ბრძოლა მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

ჩეხოსლოვაკიის ხალხი, რომელსაც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, გაბედულად და მტკიცედ მიდის სოციალიზმის მშენებლობის გზით და თანმიმდევრულ ბრძოლას ეწევა ყველა ხალხთა შორის მშვიდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფისათვის.

მტკიცე რწმენას გამოვთქვამ, რომ ჩვენს ხალხებს შორის დამყარებული მეგობრობისა და თანამშრომლობის ძმური ურთიერთობა კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ინტერესებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის.

დაე კიდევ უფრო განმტკიცდეს ძმური მეგობრობა ჩვენს ხალხებს შორის!

კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

1957 წლის 20 ნოემბერი.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ანტონინ ნოვოტნის

ძვირფასო ამხანაგო ნოვოტნი,

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი უაღრესად გულითად მოლოცვას გითვლით ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტად თქვენს არჩევასთან დაკავშირებით.

საბჭოთა ხალხი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელნიც თქვენ გიცნობენ როგორც მუშათა კლასის ერთგულ შვილს, ხალხის ინტერესებისათვის თავდადებულ მებრძოლს, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ უდიდეს მოღვაწეს, სულითა და გულით გისურვებენ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში მომძე ჩეხოსლოვაკიის ხალხის საკეთილდღეოდ, რომელიც მტკიცედ მიდის სოციალიზმის მშენებლობის გზით, იცავს მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ თქვენი საქმიანობა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე ემსახურება ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის მომძე ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საქმეს, სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვას.

გისურვებთ თქვენ, ამხანაგო ნოვოტნი, შრომისმოყვარე და ნიჭიერ ჩეხოსლოვაკიის ხალხს ერთგულ კომუნისტურ პარტიას ახალ-ახალ წარმატებას თქვენი სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის სახელოვან კომუნისტურ პარტიას ახალ-ახალ წარმატებას თქვენი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობაში, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ნ. ხრუშჩოვი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

მოსკოვი, 1957 წლის 20 ნოემბერი.

ჩვენს დიად სამშობლოში

მოსკოვი. ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში (ყოფილი მანეჟი) გახსნილია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულიად საკავშირო სამხატვრო გამოფენა. სურათზე: მნახველები ათვალიერებენ საქართველოს სს რესპუბლიკის მხატვართა ნაწარმოებებს.

ფოტო ე. ევზერიხინისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

მოსკოვიდან გაემგზავრა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია

20 ნოემბერს დილით მოსკოვიდან ბელგრადში გაემგზავრა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის დღესასწაულში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ა. ი. მიკოიანმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა, სსრ კავშირის მინისტრებმა და სხვებმა. (საკდესი).

სამშობლოში გაემგზავრა ეგვიპტის პრეზიდენტის წარმომადგენელი სამხედრო მინისტრი გენერალი აბდელ ჰაკიმ ამერი

20 ნოემბერს მოსკოვიდან თვითმფრინავ „ტუ-104“-ით კაიროში გაემგზავრა ეგვიპტის პრეზიდენტის წარმომადგენელი სამხედრო მინისტრი გენერალი აბდელ ჰაკიმ ამერი, რომელიც სსრ კავშირში იმყოფებოდა საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მარშალ რ. ი. მალინოვსკის მოწვევით. გენერალ აბდელ ჰაკიმ ამერთან ერთად სამშობლოში გაემგზავრნენ ეგვიპტის სამხედრო დელეგაციის წევრები. (საკდესი).

მ. ი. კალინინის ხსოვნისათვის

შესრულდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის მიხეილ ივანეს-ძე კალინინის დაბადების 82 წელი. ამ თარიღის აღსანიშნავად მ. ი. კალინინის მუზეუმში გაიმართა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული საღამო. დამსწრეთა შორის იყვნენ დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ძველი ბოლშევიკები და მ. ი. კალინინის ამხანაგები ერთად მუშაობის დროს, აგრეთვე მ. ი. კალინინის ოჯახის წევრები.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი, თუ როგორ უნდა მოეწყოს მუშაობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის მასალების ახსნა-განმარტებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიამ, ნათქვამია საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში, შეაჯამა სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ჩვენი ხალხის ბრძოლისა და დიდებულ გამარჯვებათა შედეგები.

ამჟამად კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველა მშრომელის ღონისძიებებს წარმართავენ მრეწველობის შემდგომი ზრდის, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ამოცანის განხორციელებისაკენ, რაც შესაძლებელს გახდის უზრუნველყოფილ იქნას ხალხის ცხოვრების დონის განუწყვეტელი ამაღლება, უფრო სრულად დაკმაყოფილდეს საბჭოთა ადამიანების მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა პროფკავშირების ყველა კომიტეტს მოაწყონ საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების, საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი უმაღლესი საბჭოს მიმართვისა და მსოფლიოს ყველა ქვეყნის ყველა მშრომელისადმი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეებისადმი, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლებისადმი, პარლამენტებისა და მთავრობებისადმი უმაღლესი საბჭოს მიმართვის ფართო ახსნა-განმარტება.

პროფკავშირთა კომიტეტებმა, ნათქვამია საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებაში, ახალი ძალით უნდა გააჩაღონ მუშა-მოსამსახურეებში საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება ახალი საწარმოო მიღწევებისათვის, ახალი წარმატებებისათვის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. (საკდესი).

მოდის ახალი მოსავლის ციტრუსეგი

ახლა აქ ერთ მტკაველ მიწას, ერთ ბელტს ვერ ნახავთ უნაყოფოს. თვალს იტაცებს ლიმონის, ფორთოხლის, მანდარინის, გრეიპფრუტის მსხმოიარე ხეები, კეთილშობილი დაფნის ბუჩქები, მოშრიალე ბამბუკი. ძველი წარმოსადგენია, რომ ამ ოცდახუთი წლის წინათ ამ ადგილას, სადაც ახლა ფოთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაა, არაფერი არ იყო, გაუვალი ჭაობის გარდა.

ამჟამად ციტრუსების ბაღებში ნაყოფის კრეფაა გაჩაღებული. მოსავალს კი წელს მეურნეობის მუშაკები არ ემდურიან. განსაკუთრებით კარგად ასხია ლიმონს. გეგმით უნდა მოეკრიფათ 500 ათასი ცალი, ფაქტიურად კი, როგორც ვარაუდობენ, 150 ათასი ცალით მეტს მიიღებენ.

უხვი მოსავლის ასაღებად აქ დროულად მოემზადნენ. ნაყოფის გადასაზიდად დაამზადეს 1.000 ცალი ტარა-ყუთი. წესრიგზე მოიყვანეს დამხარისხებელი და შესაფუთი პავილიონები, საჭაპანო და ავტოტრანსპორტი. შეაკეთეს პლანტაციებში გაყვანილი გზები და ბოგირები, საკმაო რაოდენობით შეიძინეს ნაყოფსაჭრელი მაკრატლები.

კრეფაში დაწინაურდა პირველი აგროგანყოფილება, რომლის ორმა ბრიგადამ მოსავლის აღების პირველ დღეს 50 ათასი ცალი ლიმონი მოკრიფა, გეგმა კი 40 ათას ცალს ითვალისწინებდა. თავი გამოიჩინეს გამოცდილმა მეციტრუსეებმა ნ. თურმანიძემ, ა. ტარასიუკმა, მ. სალიამ, ე. ლორჩოშვილმა, ც. გაბუნიამ და სხვებმა. ისინი დღიურ დავალებებს 120-130 პროცენტით ახორციელებენ.

კ. კოტმახიძე,
გ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

შავი ზღვის ფაუნისა და ფლორის მუზეუმი

სევასტოპოლი, 19 ნოემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სევასტოპოლის ბიოლოგიურმა სადგურმა შექმნა შავი ზღვის ფაუნისა და ფლორის მუზეუმი. მრავალი ექსპონატი წარმოდგენას გვაძლევს თევზებზე, მიკროორგანიზმებზე, წყალმცენარეებზე. მცენარეთა და ცხოველთა პლანქტონზე, კიბოსებრ და სხვა ცხოველურ ორგანიზმებზე, რომლებიც გავრცელებულია შავ ზღვაში.

გადაწყვეტილია მუზეუმში აჩვენონ აგრეთვე სხვა ზღვების მობინადრენი. ტროპიკული ზღვების ფაუნის ძვირფასი მასალა ამ განყოფილებისათვის ჩამოიტანეს სამეცნიერო ანტრაქტიკული რეისებიდან დიზელ-ელექტრომავლებმა „ობმა“ და „ლენამ“, ჩამოტანილია აგრეთვე თეთრი ზღვის ფაუნის წარმომადგენლნი.

უახლოეს დროში მუზეუმი შეივსება ახალი ექსპონატებით, რომლებსაც ჩამოიტანს საექსპედიციო გემი „აკადემიკოსი კოვალევსკი“.

ერევანი. სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტს წარმატებით ხელმძღვანელობს ერთ-ერთი თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერი — ფიზიკოსი ა. ი. ალიხანიანი. უკანასკნელ წლებში მეცნიერი დიდ დროს უთმობს კოსმოსური სხივებისა და ელემენტარული ნაწილაკების შესწავლას. სურათზე: ა. ი. ალიხანიანი ლაბორატორიაში.

ფოტო ა. ეკეკიანისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირში

19 ნოემბერს გაიმართა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საორგანიზაციო ბიუროს მორიგი სხდომა.

მოსმენილ იქნა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანის ამხ. ე. ლ. ხუდიაკოვის ინფორმაცია საერთაშორისო სემინარის შესახებ, რომელიც გაიმართა სტრასბურგში იუნესკოსთან არსებულ ჟურნალისტთა მომზადების ცენტრში.

ამავე სხდომაზე ჟურნალისტთა კავშირის საორგანიზაციო ბიურომ კავშირში მიიღო მოსკოვის, ხაბაროვსკის მხარის, კურგანის და ჩელიაბინსკის ოლქების პრესის მუშაკთა ჯგუფი.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირში უკვე მიღებულია პრესის 3 ათასამდე მუშაკი. (საკდესი).

სურათზე: წინა პლანზე — მოწინავე მუშები ა. მიტიუშინა (მარცხნივ) და ნ. გუსინა ახარისხებენ ლიმონს. ფოტო ბ. გავრილენკოსი.

თეორიული და მეთოდური დახმარება კადრებს, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმს სწავლობენ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „ვ პომოშჩ პოლიტიჩესკომუ სამოობრაზოვანიუ“ მიზანია დაეხმაროს ჩვენს კადრებს შემოქმედებითად დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, შეისწავლონ იგი ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან განუყრელ კავშირში.

ჟურნალი სისტემატურად აქვეყნებს თეორიულ სტატიებს, ლექციებსა და კონსულტაციებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის პოლიტიკური ეკონომიისა და კონკრეტული ეკონომიკის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის დარგში, პასუხს მკითხველთა შეკითხვებზე და კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ სტატიებს.

ჟურნალში შუქდება მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლის გამოცდილება, იბეჭდება ლიტერატურის მეთოდური დამუშავებანი და სარეკომენდაციო სიები, ეძლევა მეთოდური რჩევა-დარიგება ლექტორებს, კონსულტანტებს, წრეებისა და სემინარების ხელმძღვანელებს, ამხანაგებს, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას.

ახალ სასწავლო წელს ჟურნალი იწყებს სტატიების სისტემატურად ბეჭდვას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის (ოქტომბრისწინა და ოქტომბრისშემდგომი პერიოდები) კურსის თემებზე. პირველი სტატიები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის კურსისათვის მოთავსებული იქნება 1957 წლის 11 და 12 ნომრებში; მათი პუბლიკაცია გაგრძელდება 1958 წელს.

იმათთვის, ვინც სწავლობს პოლიტიკურ ეკონომიას და კონკრეტულ ეკონომიკას, ჟურნალი განაგრძობს სტატიებისა და სხვა მასალების ბეჭდვას სოციალიზმისა და თანამედროვე კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიის უაღრესად აქტუალურ პრობლემებზე, აგრეთვე სოციალისტური მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

იმათ დასახმარებლად, ვინც მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიას სწავლობს, ჟურნალი ბეჭდავს სტატიებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ფილოსოფიურ შრომებსა და დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე.

ამასთან ჟურნალი ბეჭდავს კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ სტატიებს, წიგნებისა და სახელმძღვანელოების რეცენზიებს, ანოტაციებს, საცნობარო ხასიათის მასალებს ჩვენი ქვეყნის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და სხვა უცხო სახელმწიფოების ცხოვრების შესახებ.

ჟურნალზე ხელმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის“ საქალაქო და რაიონულ განყოფილებებში, კავშირგაბმულობის კანტორებში, განყოფილებებსა და საგენტოებში, აგრეთვე საზოგადოებრივ რწმუნებულებთან საწარმოების, მშენებლობათა, კოლმეურნეობების, მტს-ების, სასწავლებლებისა და დაწესებულებების ხელმოწერის პუნქტებში. ხელმოწერის ფასია წელიწადში 24 მანეთი.

მცხეთის რაიონმა შეასრულა ბოსტნეულის დამზადების გეგმა

მცხეთის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა ბოსტნეულის დამზადების გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 1.850 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ჩაბარდა 1.860 ტონა ბოსტნეული.

ბოსტნეულის დამზადება გრძელდება. (საქდესი).

პარტიული ცხოვრება

ის, რაც საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე არ თქმულა

ავტოტრანსპორტის გამართულ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული სოხუმის მოსახლეობისა და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან აქ დასასვენებლად ჩამოსულ მშრომელთა ტრანსპორტით მომსახურების საქმე. მაგრამ ამ ამოცანას ცუდად ასრულებს სოხუმის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორა. პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიურო კი სუსტად იბრძოდა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. მოუმზადებლად, დაბალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ეწყობოდა პარტიული კრებები. კრებებზე არ იყო გაშლილი ნაკლოვანებათა პირუთვნელი კრიტიკა და თვითკრიტიკა. პარტბიუროს დაავიწყა მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება, რაც ხელს უწყობდა კომუნისტებში უპასუხისმგებლობისა და დაუდევრობის დანერგვას.

ცოტა როდია ისეთი შემთხვევები, როცა ავტომძღოლები საშუშაოზე მთვრალები მოდიან. ამის გამო ხშირია ავარიები, წესრიგის დარღვევის შემთხვევები. მაგალითად, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა კომუნისტმა ვ. ლაცისმა დებოში ატეხა მგზავრებთან, ხოლო კომუნისტ ი. ჩუბაკოვს ავარია მოუვიდა. სამწუხაროდ, კომუნისტთა ასეთი საქციელი პარტბიუროს მსჯელობის საგანი არ გამხდარა. არის ისეთი ფაქტებიც, როცა კომუნისტების ერთი ნაწილი პარტიულ კრებაზე მთვრალი ცხადდება.

მიმდინარე წლის დასაწყისში ავტოსატრანსპორტო კანტორის მუშაკებს შორის მგზავრთა სანიმუშოდ მომსახურებისათვის გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. სოხუმელმა ავტომძღოლებმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს ბათუმელი და ტყვარჩელელი თანამოსაქმეები. მაგრამ პარტბიურომ მალე დაივიწყა ავტომძღოლთა ეს შესანიშნავი ინიციატივა და სოციალისტური შეჯიბრებაც ჩაიშალა.

მარტში საამქროთა მიხედვით შეიქმნა ხუთი პარტიული ორგანიზაცია. მოსალოდნელი იყო, რომ საამქროთა პარტიული ორგანიზაციების შექმნა დადებით გავლენას მოახდენდა კანტორის საქმიანობაზე, მაგრამ პირიქით მოხდა. პარტბიურომ არავითარი დახმარება არ გაუწია საამქროთა პარტორგანიზაციების ახლად არჩეულ მდივნებს, მთელი პასუხისმგებლობა პარტიული მუშაობის გაუმჯობესებისათვის მათ გადააკისრა, თვით კი გარეშე მაყურებლის როლში გამოვიდა. სამწუხაროდ, ვერც საამქროთა პარტბიუროებმა გამოიჩინეს ინიციატივა, და მათი მუშაობა მხოლოდ რამდენიმე კრების მოწვევით განისაზღვრა.

უნდა ითქვას, რომ პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტმაც ჯეროვანი დახმარება ვერ გაუწია ძირეულ პარტიულ ორგანიზაციებს, კერძოდ, მხედველობიდან გამოუშვა ისეთი მსხვილი პარტიული ორგანიზაცია, როგორიც სოხუმის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორის პირველადი პარტიული ორგანიზაცია არის. საქალაქო კომიტეტის მდივნები, განყოფილებათა გამგეები და ინსტრუქტორები ავტოსატრანსპორტო კანტორის პარტიული ორგანიზაციის იშვიათი სტუმრები არიან. უკონტროლობამ და კადრებისადმი მომთხოვნელობის შესუსტებამ ის გამოიწვია, რომ პარტბიუროს ყოფილმა მდივანმა გ. რურუამ კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელი ჩაიდინა, ხელი მიჰყო მექრთამეობას.

ამას წინათ შედგა სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორის პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება. მოსალოდნელი იყო, რომ კრებაზე, კერძოდ, პარტბიუროს საანგარიშო მოხსენებაში და კამათში გამოსულთა სიტყვებში მკაცრად იქნებოდა გაკრიტიკებული მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. პარტბიურომ კრებას ზერელე, არაფრისმთქმელი მოხსენება წარუდგინა. მოხსენებაში არაფერი იყო ნათქვამი იმ დიდ დარღვევებზე და ნაკლოვანებებზე, რომლებიც სატრანსპორტო კანტორის ხელმძღვანელობისა და პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მუშაობაშია. ასევე უფერული, არათვითკრიტიკული იყო პარტბიუროს წევრთა გამოსვლებიც. ცალკეულმა კომუნისტებმა, მათ შორის ა. ლომონოსოვმა, ვ. წულაიამ, ვ. სოკოლოვმა, მ. დარჯანიამ გაბედულად გააკრიტიკეს პარტბიუროს მუშაობა და მოურიდებლად განუცხადეს კრებაზე დამსწრე პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. მ. ჩიქოვანს, რომ ქალაქკომი ნაკლებ ყურადღებას უთმობს სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორას, ცუდად ეხმარება მის პარტიულ ორგანიზაციას.

კომუნისტთა ამ კრიტიკიდან სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის მუშაკებმა, ავტოსატრანსპორტო კანტორის ახლად არჩეულმა პარტბიურომ.

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა აითვისა ახალი სახის პროდუქციის — ხელოვნური აბრეშუმიდან დამზადებული საპერანგე ქსოვილის, ქართული ორნამენტებით მოხატული თავსახვევებისა და მრავალი სხვა სახის პროდუქციის გამოშვება. სურათზე: თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის წუნმდებლები თ. მღვდელაძე (მარჯვნივ) და ლ. მურჯოყნელი ამოწმებენ გამოშვებული ქსოვილების ხარისხს.

ფოტო გ. დარსაველიძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„შესაძლებლობანი გამოუყენებელი რჩება“

„კომუნისტში“ გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში „შესაძლებლობანი გამოუყენებელი რჩება“ მხილებული იყო სიღნაღის რაიონში მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებასა და შესყიდვაში არსებული სერიოზული ჩამორჩენა.

პარტიის სიღნაღის რაიკომმა და რაიაღმასკომმა იმსჯელეს აღნიშნული კორესპონდენციის გარშემო. სოფელ მაღაროს „ლენინის გზით“ და ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს ვ. მათეშვილს და გ. გოგოლაშვილს მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარებაში უპასუხისმგებლობის გამოჩენისათვის გამოეცხადათ საყვედური. დასახული ღონისძიებების შედეგად რაიონში მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების და შესყიდვის წლიური გეგმა შესრულდა 7 ნოემბრისათვის.

„ოქტომბრის ბარიკადებზე“

ჭირხლი ედო მოსკოვის ქუჩებს. გაყინულ ჰაერში ისე უცნაურად ისმოდა შორეული სროლის ხმა, თითქოს ფანჯრის მინებს ქვებით ამტვრევენო. მაღალი, ჩოფურა, მაზარიანი კაცი ჩაფიქრებული მიაბიჯებდა. ის-ის იყო ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისაგან დავალება მიიღო და ახლა გონებაში შეუდგა კიდეც მის გადაწყვეტას.

შორეულ კანტიკუნტ სროლას სადღაც ახლოს ტყვიამფრქვევის კაკანი აჰყვა.

— ბუზებივით იკბინებიან ესერები!—ირონიულმა ღიმილმა გადაკრა სახეზე მომავალს, — ახლა საჭიროა ისინი სახლის სახურავებიდანაც გამოდევნო, მოსვენებას არ აძლევენ ხალხს...

იმ დღეს ამ კაცმა მოსკოვის ბევრი ქუჩა, მოხალისე გვარდიელთა ნაწილები და სამეტიმროებიც კი მოიარა.

— ქართველი ხარ? — ეკითხებოდა იგი შემხვედრს.

— დიახ.

— რას აკეთებ მოსკოვში?

...ბევრი მათგანი ნამდვილი რევოლუციური ბრძოლის ცეცხლით იყო ანთებული, ზოგს კი ქვეყანა სხვისი ნათქვამისა და ნაამბობის მიხედვით ჰქონდა „აშენებული“.

ჩოფურას მონუსხული გამოხედვა ყველაფერს ამჩნევდა.

— სროლა იცი?

— ვიცი!

— მაშ მოხვალ ჩემთან, ვოლხონკაზე შტაბში. პლატონ ივანეს-ძე იაშვილი იკითხე.

მალე ასე შეკრებილი ახვადასხვა პროფესიის ადამიანები პლატონ იაშვილის „განსაკუთრებული დანიშნულების მოსკოვის პირველ მფრინავ რაზმში“, რომელიც ვ. ი. ლენინის დავალებით შიიქმნა, მრავალ ხანე მებრძოლებად იქცნენ. ამ რაზმში სულ 80-100 კაცი შედიოდა, მათი დიდი უმრავლეობა ქართველები იყვნენ. ურუშაძე, ლებანიძე, ასათიანი, ემელიანოვი, სიმონოვი ყოველდღე ავარჯიშებდნენ მებრძოლებს.

თვითონ მეთაური — პლატონ იაშვილი ხომ რაზმის სული და გული გახდა. საკმარისი არ არის კაცმა იაშვილზე თქვას, მამაცი იყო. ის ისეთი განსაკუთრებული თვისებით იყო დაჯილდოებული, რომ თავის სიმტკიცესა და შეუპოვრობას სხვასაც გადასდებდა ხოლმე. მისი განსაკუთრებული ფიზიკური და საბრძოლო მომზადება ბევრს აოცებდა.

მოსკოვში ესერთა და ანარქისტთა — სახურავზე შემძვრალ მეამბოხეთა რისხვად იქცა პლატონ იაშვილის განსაკუთრებული მფრინავი რაზმი. ამ რაზმმა ზედიზედ განიარაღა ანარქისტები დმიტროვკის, პოვარსკაიას და არბატის რაიონებში. იაშვილეულებისაგან უკეთესი დღე არც ესერებს დასდგომიათ. ვლადიმირის გზატკეცილთან ათასი ჯარისკაცი 80 კაცმა განიარაღა და დაატყვევა.

მალე მოსკოვში მყუდროება დამყარდა. მეამბოხეთა ბანდები გახადგურებულ იქნენ. და როცა კურსკისა და ბელგოროდის თავდაცვის სამხედრო საბჭომ დენიკინელთა, გიდამაკელთა და პეტლიურელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დასახმარებლად იაშვილის სახელგანთქმული რაზმი მოითხოვა, რაზმი დაუყოვნებლივ იქით გაეშურა. რაზმი იაშვილმა წაიყვანა, ხოლო მოსკოვში რუბენ ასათიანი დარჩა შევსების გასაგზავნად. მალე ასათიანიც 60-65 კაცით ჩავიდა ბელგოროდში. დაიწყო სახელოვანი სამხედრო ოპერაციები. იაშვილის ჩვეული საბრძოლო მანერით რაზმი უშიშარ, მტაცეკ მუშტად შეიკრა...

— დაეე-წყეთ! — მეთაურს ბრძანებაზე რაზმი ფოლადის ძაფივით გაიქიმა.

— ჩვენ მიგდივართ სამართლიან ბრძოლაში, სიკვდილის შესახვედრად, ჩვენ უნდა დავამარცხოთ სიკვდილი... თუ დავმარცხდით, დავიხოცებით და უკან კი არ დავიხევთ!

იაშვილი ამ სიტყვებთან ერთად მძიმე ნაბიჯით ჩამოუვლიდა რაზმს და თითქოს ყოველი მებრძოლის სულში იხედებოდა.

ცხადია, არავის არა სურდა ეწვნია მისი ირონიულად ნასროლი სიტყვა:

— გეშინია? დარჩი!..

65 კაცისაგან შემდგარი, მაუზერებითა და ხელყუმბარებით შეიარაღებული მსუბუქი რაზმი „ორი ოდელიასს“ და „მუმლი მუხასას“ სიმღერით დაიძრა ვოლჩანსკისაკენ.

ვოლჩანსკში სახაროველები იდგნენ, რამდენიმე კაცი პირდაპირ მათთან გაემგზავრა შტაბში

— წაიყვანეთ თქვენი ხალხი ქალაქის განაპირას, ყოფილი ლერმონტოვის ჰოსპიტალში, იქ დაისვენეთ, გამოძიებენთ! — უთხრეს მათ.

თოვლისა და წვიმისაგან დასველებულ, დაღლილ-დაქანცულ ადამიანებს თვალი ლოგინისაკენ მიუბრიალდათ.

— არ გაიხადოთ! — იყო იაშვილის ბრძანება, — იარაღიც მზად იქონიეთ.

— პროკლამაცია ბოლშევიკების წყეულიერულვით არის სავსე. ის კაციც დავიჭირეთ.

— ნუ ღელავთ, ყმაწვილებო, ეს მე უკვე ვიცი, — გაიცინა იაშვილმა,—ისიდორე ურუშაძემ დაგასწროთ.

ღამე გადიოდა.

მთელოდნელად კარებში ორი გოლიათური ფიგურა აღიმართა. იაშვილი წამოწოლილი იყო ტახტზე, თავი ხელებზე ჰქონდა დაყრდნობილი, არ ეძინა.

— იაშვილი გვინდა! — განაცხადეს მოსულებმა.

— იაშვილი გისმენთ!

— ხელები მაღლა! თქვენ გარშემორტყმული ხართ, დაყარეთ იარაღი!

— მე იარაღი არასოდეს არ დამიყრია! — მხოლოდ ამ სიტყვების გაგონება მოასწრეს მოსულებმა — იაშვილის მიერ სხარტი მოძრაობით ნასროლმა ყუმბარამ ორივეს სული გააფრთხობინა.

სახაროვი გამყიდველი აღმოჩნდა.

— რატომ?! — აკი სახაროვი ჩვენია! — უკვირდათ მებრძოლებს.

...ილუშა ჯაფარიძე და რუბენ ასათიანი კი არ შევიდნენ, თითქმის შევარდნენ ჰოსპიტალში იაშვილის პატარა ოთახში.

— რა ამბავია? — იკითხა აუღელვებლად პლატონმა.

— ეს-ეს არის საპარიკმახეროში ვიყავით და იქვე ზურგით ერთმა ახმახმა პროკლამაცია ააკრა...

— არ დაიბნეთ, ამხანაგებო! — ლომივით გუგუნებდა იაშვილი, — უნდა გავარღვიოთ რკალი!

— ტყვიის მარაგიც არა გვაქვს! — წამოძახა ვიღაცამ.

— არა უშავს რა, ტყვიას მტრისაგან ვაშოვნით! — უპასუხა იაშვილმა და ბრძანება გასცა.

სიმონოვს ჰოსპიტლის უკანა მხრიდან უნდა გაეყვანა რაზმელები, რუბენ ასათიანს და იასონ ლებანიძეს პირდაპირ ცეცხლქვეშ.

— იერიშისათვის ჩემს ნიშანს ელოდეთ! — ბრძანა მეთაურმა.

და ეს ნიშანი საოცარი რამ იყო — მოულოდნელად შიგ მტრის ტანშეაში გაისმა მისი ომახიანი ხმა.

— პირველი ასეული მარჯვნივ! მეორე მარცხენა ფლანგზე! ტყვიამფრქვევები ბრძოლისათვის!

აკაკანდნენ „ტყვიამფრქვევები“, — მაუზერების ეშმაკურად მიყოლებულმა ზედიზედ სროლამ მართლაც ასეთი შთაბეჭდილება შექმნა.

მოულოდნელი იერიშით სახაროველები დაიბნენ. მათ არ იცოდნენ, რა შემადგენლობის რაზმი ჰყავდა იაშვილს. აირევნენ, უკან დაიხიეს და ბოლოს მოჰკურცხლეს.

ასორმოცდაათი მოკლული დარჩა ჰოსპიტლის ირგვლივ. იაშვილის რაზმს მხოლოდ რამდენიმე კაცი გამოაკლდა — შალამბერიძე, ჭეიშვილი, გგნიძე.

62 კაცმა იმ ღამეს ბრძოლით აიღო ქალაქი ვოლჩანსკი და სახაროველები გაანადგურა.

იმავე ღამეს ქალაქი სამი კილომეტრით დაშორებული სადგურიც დაიკავეს. რამდენიმე კაცი დატოვა იქ იაშვილმა, თვითონ კი ისევ ქალაქში დაბრუნდა.

რუბენ ასათიანი „სადგურის უფროსად“ დაინიშნა.

მოულოდნელად სადგურზე ტელეფონი აწკრიალდა.

— როგორ არის საქმე? — კითხულობდნენ სახაროვის მთავარი შტაბიდან. მართლა დაეცნენ ქალაქს ქართველები? გამოვგზავნოთ თუ არა ჯავშნიანი მატარებელი?

ასათიანს გააკრთოლა. მერე რაღაც მოიფიქრა და იქვე მდგომ რუს თანამებრძოლს ყურმილი მიაჩეჩა.

— ქართველები უკვე შევიპყარით! — ღიმილით, მაგრამ დაბეჯითებით სუფთა რუსულით უპასუხეს მათ, — ცხადია, რომლებიც დაუხოცავი დაგვრჩა! დახმარება კი აბა რაღა საჭიროა? არა! არ გვჭირდება ჯავშნიანი მატარებელი!

რიეერაციასა სუსხმა მოუჭირა. ყინვა უმეტესად იკბინებოდა. სადგურთან შეშით დატვირთული მარხილები გამოჩნდა. ღამის ბრძოლების შემდეგ კვლავ იღვიძებდა ქალაქი. გამთენიისას, სროლის ხმას სამწუხარო ცნობაც მოჰყვა, იაშვილი ბრმა ტყვიით მძიმედ დაჭრილაო.

მარხილით გადაიყვანეს ბელგოროდში მეთაური. მოსკოვიდან ზედიზედ ჩამოდიოდნენ ექიმები. მაგრამ დაჭრილ არწივს არა ეშველა რა— იგი გარდაიცვალა.

მგზნებარე მებრძოლი, ოქტომბრის ბარიკადების მამაცი მეთაური მოსკოვში გადაასვენეს და „ნოვოდევიჩის“ სასაფლაოზე დაკრძალეს.

„გასაკუთრებული დანიშნულების მოსკოვის პირველმა მფრინავმა რაზმმა“ საბრძოლო ფიცი მისცა თავის მეთაურს, რომ კვლავაც სასახელოდ განაგრძობდა ბრძოლას ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად.

• • •

ორმოცი წლის შემდეგ მოიყარეს მათ თავი „კომუნისტის“ რედაქციაში. ზოგიერთი მათგანი ამდენი ხნის განმავლობაში პირველად შეხვდა ერთიმეორეს.

— ლებანიძე არა ხარ?

— ჰო! ლებანიძე ვარ, ვალერიანი!

— შენ მინდელი უნდა იყო... ვასილი!

მათ იცნეს ერთმანეთი არა ჰაღარა თმითა და სახეზე დაჩნეული წელთა კვალით, არაშედ მხურვალე ახალგაზრდული გულით და ამ რაღაც საოცარი მახლობლობის შეგრძნებით, ადამიანს დავიწყების საბურველს წუთში რომ ჩამოაცლის ხოლმე და მას ისეთად წარმოგიდგენს, როგორიც მეხსიერებაში შემოგინახავს.

ბევრი რამ მოხდა იმ ორმოცი წლის შემდეგ, ბევრი რამ იყო სასაუბრო და ეთქვენ, მრავალი ამბავი გაიცოცხლდა იაშვილის რაზმელების — ონიკიმე ლებანიძის, რუბენ ასათიანის, ისიდორე ურუშაძის, ვასილ მინდელის, ვალერიან ლებანიძის, კიმოთე გოგობერიშვილის, ვლადიმერ მახარაშვილის, კონსტანტინე ასათიანის მოგონებებში.

მათ საუბარში თვალდახელშუა გაქრა ორმოცი წელი, ხორცი შეისხა ცხრაას ჩვიდმეტისა და ცხრაას თვრამეტის მღელვარე დღეებმა. დიდი სიყვარულით გაიხსენეს ოქტომბრის ბარიკადების მამაცი დამცველები, იაშვილის რაზმელები: ილია ჯაფარიძე, ვაჟა იაშვილი, მექი, ექვთიმე, კოტე ასათიანები, ამბაკო კაციტაძე, კოსტა ჭეიშვილი, იასონ, იოსებ, გიორგი ახვლედიანები, ერმილე ერქომაიშვილი, ამბაკო, მიხეილ, ილარიონ ლებანიძეები, ვასო ქებაძე, მათე კერვალაშვილი, დომენტი გოგობერიშვილი და სხვები.

კიდევ რამდენი რამის თქმა შეიძლება მათ შესახებ, იმაზე, რაც ხალხში ინახება! მართალაც უსაზღვრო ოკეანეს ჰგავს ხალხის გონება. მრავალი მებრძოლის სახელი დავიწყების ქანგმიეკარებლად გახვეულია ამ მყუდრო სამოსელში და როგორც ხელთუქმნელი ძველი თაობიდან თაობას გადაეცემა.

ზ. მარუაშვილი.

• • •

სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ (სხედან) — ვლადიმერ მახარაშვილი, ონიკიმე ლებანიძე, რუბენ ასათიანი, (დგანან) კიმოთე გოგობერიშვილი, კონსტანტინე ასათიანი, ვასილ მინდელი, ისიდორე ურუშაძე, ვალერიან ლებანიძე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ეროვნული ... — „კომუნისტის“ რედაქციაში

მოუვლელი პირუტყვი და უდარდელი ხელმძღვანელები

მოახლოვდა ზამთარი — ყველაზე პასუხსაგები დრო მეცხოველეობაში. ბევრ კოლმეურნეობაში დღემდე სათანადოდ არ ზრუნავენ პირუტყვის კარგად გამოზამთრებისათვის. ჭიანურდება ახალი სადგომების მშენებლობა, გვიანდება ძველის რემონტი. ასეა, მაგალითად, ხაშურისა და ქარელის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

ხაშურის რაიონის სოფელ ტეზრის კოლმეურნეობაში ასი სულისათვის განკუთვნილი საძროხის მხოლოდ კედლებია ამოყვანილი. მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობა უზრუნველყოფილია საშენი მასალით, საძროხე დღემდე არ არის გადახურული. აკლიათ საარჩატურე რკინა. აქ პირუტყვის ძველი სადგომების რემონტსაც აგვიანებენ — საღორის იატაკი დაზიანებულია, შესაკეთებელია მეცხვარეობის ფერმის სახურავი, საძროხეში გაფუჭებულია ავტოსარწყულებლები, გამეფებულია ანტისანიტარია, პირუტყვს უვლიან ცუდად. კოლმეურნეობაში დღემდე შექმნილი არ არის სიმინდის საფურაჟე ფონდი. ამის შედეგი კი ის არის, რომ მიმდინარე წლის ათ თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თვითეულ საფურაჟე ძროხაზე წველადობა 175 კილოგრამით შეცირდა.

ყოველივე ეს კარგად იციან პარტიის ხაშურის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა. ამ ნაკლოვანებებს ხაშურის მანქანა-ტრაქტორთა სადგურიც (დირექტორი გ. გაგნიძე) ურიგდება. ამას წინათ სადგურმა კოლმეურნეობაში სპეციალური კომისიაც კი გაგზავნა. შედგა სათანადო აქტი, რომელიც კოლმეურნეობის გამგეობამ განიხილა, მაგრამ საქმეს მაინც არაფერი ეშველა. კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ი. აბრამაშვილი) ამ სავალალო მდგომარეობის გამოსწორებას, როგორც ეტყობა, არც აპირებს.



— შენ რომ ემზადები ზამთრისათვის, ძმობილო, მე რად მიბრიყავ?

ამავე რაიონის სოფელ ბრილის კოლმეურნეობაში მეორე წელია გრძელდება საღორის მშენებლობა. ჭიანურდება საძროხის აგება სოფელ ალის კოლმეურნეობაშიც. ხაშურის რაიკოოპკავშირი (გამგეობის თავმჯდომარე ვ. ქველაძე) ვერ უზრუნველყოფს ამ კოლმეურნეობებს საშენი მასალითა და რკინით. რაიონში ამ მასალების ადგილობრივ რესურსებსაც ცუდად იყენებენ.

უფრო ცუდი მდგომარეობაა ქარელის რაიონში. პარტიის ქარელის რაიკომის ბიუროზე წელს ბევრჯერ განიხილეს მეცხოველეობის განვითარების, საკვები ბაზის განმტკიცების, პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების და სხვა საკითხები, მაგრამ მიღებული დადგენილებების ბევრი მუხლი დღემდე შეუსრულებელია. ... ქარელში მიმდინარე წელს ... გეგმით გათვალისწინებული თითქმის არც ერთი სადგომის მშენებლობა არ დაუმთავრებიათ, ხოლო ზოგან არც კი დაუწყიათ.

სოფელ ბრეთის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. მაჭარაშვილი) საღორე უხარისხოდ ააშენეს, რის გამო ალაგ-ალაგ ჭერი ჩამოინგრა. საძროხეში ტალახი და ჭუჭყია, სახურავი და ბაგები შეუკეთებელია, მაშინ როცა კოლმეურნეობას თავის განკარგულებაში 15 კუბური მეტრი ხის მასალა აქვს. ალბათ ამით აიხსნება, რომ ი. მაჭარაშვილმა ასე გულდამშვიდებით განაცხადა: „რა უშავს, რა ძნელი საქმე ეს არის, ამის გაკეთებაც შეიძლებაო“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაიონის მთავარი ვეტექიმი გ. დეკანოიძე და რუისის მტს-ის მთავარი ზოოტექნიკოსი ბ. შუბითიძე ცუდად ეხმარებიან კოლმეურნეობებს პირუტყვის გამოზამთრებისათვის აუცილებელ ზოოვეტღონისძიებათა განხორციელებაში.

აგარის შაქრის ქარხანაში ამჟამად დაგროვილია შაქრის ჭარხლის 1.000 ტონაზე მეტი ნარჩენი — მშრალი დურდო, რაც პირუტყვის საუკეთესო საკვებს წარმოადგენს. დურდო განაწილებულია ქარელის, ხაშურის, გორის, კასპის და სხვა რაიონებზე, მაგრამ მისი გატანისათვის დღემდე არავინ ზრუნავს.

პირუტყვის გამოზამთრების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ ამ რაიონების კოლმეურნეობათა გამგეობები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები უდარდელად ეკიდებიან მინდობილ საქმეს, ხოლო პარტიის ხაშურისა და ქარელის რაკომები და რაისაბჭოს აღმასკომები ნაკლებად სთხოვენ პასუხს მუშაობის ჩამშლელებს.

რედაქციის მონაწილენი:
ა. დარჯანია,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარული სამმართველოს ვეტექიმი;
დ. დიასამიძე,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის სამმართველოს ზოოტექნიკოსი;
მ. ხეთაგური, ვ. გურგენიძე,
ა. კუსარაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ქახოვკელები შეჯიბრებაში იწვევენ კაკაბეთლებს

კაჭრეთი. (საკ. კორ.). ამას წინათ კაჭრეთის რაიონის კოლმეურნეობათა წარმომადგენლები ჩავიდნენ ხერსონის ოლქში ჯიშიანი პირუტყვის შესაძენად. კაკაბეთის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ წარმომადგენლებს ქახოკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრები გულთბილად შეხვდნენ და ყოველგვარი დახმარება გაუწიეს, მეგობრობის ნიშნად კაკაბეთლებს ველის წითელი ჯიშის ორი საუკეთესო ძროხა აჩუქეს.

უკრაინელ და ქართველ კოლმეურნეთა თანამეგობრობის მიზნით ქახოვკელებმა გადაწყვიტეს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიონ კაკაბეთის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ წევრები. ამ დღეებში აქ მიიღეს ქახოკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლექტივის მიერ ნაკისრი ვალდებულებანი. კაკაბეთელი კოლმეურნეები აღფრთოვანებით შეხვდნენ გამოწვევას. საერთო კრებაზე მისი განხილვა ზეიმად გადაიქცა, ისინი ერთსულოვნად ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და თავიანთი ვალდებულებები გაუგზავნეს.

ქინძმარაულის ზვრებში

ყვარელი. (საკ. კორ.). კუდიგორის სამხრეთით ალაზნის ველზე გადაჭიმულია ქინძმარაულის ზვრები. ამ ვენახების ღვინოს, რომელიც განთქმულია გემოთი და არომატით, არაერთხელ დაუმსახურებია მსოფლიო კონკურსების ჯილდოები. წელს იუგოსლავიაში მოწყობილ ღვინოების მსოფლიო კონკურსზე „ქინძმარაულმა“ ვერცხლის მედალი მიიღო.

ამჟამად რაიონში დიდი მუშაობაა ქინძმარაულის ზვრების გასაფართოებლად. უკანასკნელ ორ წელიწადში აქ 90 ჰექტარი ახალი ვენახი გაშენდა. ახლა ქინძმარაულის ფართობი 220 ჰექტარს აღწევს. ამ შემოდგომაზე არ წყდება მძლავრი მუხლუხებიანი ტრაქტორების გუგუნი. იხვნება საუკუნოვანი უამრი, ჯაგნარისაგან იწმენდება ნოყიერი მიწა. აქ იყვავილებს ვაზი, რომელიც საუკეთესო ხარისხის ღვინოებით დაამშვენებს მშრომელთა სუფრას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილმი დიდი ლენინის სიჭაბუკეზე

საბჭოთა კინემატოგრაფიამ არსებობის ორმოცი წლის მანძილზე შექმნა მრავალი როგორც დოკუმენტური, ისე მხატვრული ამაღელვებელი ფილმი საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეებზე, უბრალო ადამიანებზე, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის საიუბილეო დღეებში მაყურებელი განსაკუთრებული კმაყოფილებით უცქერის მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელისა და დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ კინოფილმებს. ამ საიუბილეო დღეებში მილიონობით საბჭოთა ადამიანმა ეკრანებზე ნახა „მოსფილმის“ კინოსტუდიის ახალი მხატვრული ფილმი — „ულიანოვების ოჯახი“. ფილმის სცენარი ი. პოპოვისაა, დადგმა ეკუთვნის რეჟისორ ვ. ნეჟეროვს, ოპერატორია ე. საველიევი, მხატვარი — ს. უშაკოვი, კომპოზიტორი ა. პახმუტოვი.

ქართველი მაყურებელი კარგად იცნობს პოპოვის პიესას „ოჯახი“, რომელიც წლების მანძილზე რუსთაველის სახელმწიფო თეატრის სცენაზე იდგმებოდა. ძირითადად ეს პიესა საფუძვლად დაედო ფილმის სცენარს. იგი მოგვითხრობს იმ პერიოდზე, როცა ვლადიმერ ულიანოვი 16-17 წლის ჭაბუკი იყო.

1886 წლის დასაწყისში ულიანოვების ოჯახს თავს დაატყდა დიდი უბედურება — გარდაიცვალა ოჯახის უფროსი ილია ნიკოლოზის-ძე ულიანოვი. შვილების აღზრდა მთლიანად მარიამ ალექსანდრეს ასულს დაეწვა. ამ განათლებულმა, ბეშმარიტად ინტელიგენტმა ქალმა შვილებს სიყრმიდანვე შთაუნერგა კეთილშობილური გრძნობები და მაღალი პრინციპულობა, რაც მათ შემდგში მუდამ ახასიათებდათ.

ფილმის პირველ კადრებში აღბეჭდილია ულიანოვების სასტუმრო ოთახი, სადაც მარიამ ალექსანდრეს ასული როიალზე უკრავს ბეთოვენის „აპასიონატას“, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ასე უყვარდა ლენინს. პატარები — ოლია, მიტია, მანია ხატავენ, ხოლო საშა და ვალოდია მუსიკას უსმენენ. ანა კმაყოფილებით მომართავს დედას: „როგორ მიყვარს ჩვენი სახლი, როცა შენ უკრავ“.

კეთილად და მეგობრულად არიან განწყობილნი ულიანოვების ოჯახის წევრები ერთმანეთის მიმართ. განსაკუთრებული მეგობრები არიან ვალოდია და მისი უფროსი ძმა საშა. ბავშვები ნავსადგურში მიდიან. აი რუსეთის დედა მდინარე — ვოლგა, მომხიბვლელი რუსული ხალხური სიმღერები! გესმით ჯაჭვების მონოტონური ჟღარუნი, ეს ხმაურია ბორკილებისა, რომლებიც კატორღელებს ხელ-ფეხზე ადევთ. ყარაულები მათ კარჭაპებისაკენ მიერეკებიან.

საშა უკვე სტუდენტია. იგი პეტერბურგში მიემგზავრება. გამგზავრების წინაღამეს ძმები დიდხანს საუბრობენ ცხოვრების შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს იგი. საუბრობენ მშრომელი ხალხის დუხჭირ პირობებზე. მარიამ ალექსანდრეს ასული ჩვეულებისამებრ სანთლით ხელში ჩამოუვლის „ბავშვთა“ ოთახს. უსწორებს საბნებს, დიდხანს უმზერს იქაურობას, მისთვის საყვარელია ყოველი ნივთი, რაც შვილებთან არის დაკავშირებული. შემდეგ ჩადის ქვევით ილია ნიკოლოზის-ძის კაბინეტში, ესაუბრება მეუღლის სურათს. „ილუშა! — ეუბნება, — ხვალ საშა მიემგზავრება“...

პეტერბურგში 1887 წლის 1 მარტს ალექსანდრე ულიანოვს აპატიმრებენ მეფე ალექსანდრე III-ზე თავდასხმის მომზადებაში მონაწილეობის მიღებისათვის. აპატიმრებენ ლენინის უფროს დას ანასაც. მარიამ ალექსანდრეს ასული პეტერბურგში მიდის, რომ ვაჟიშვილი იხსნას, მაგრამ ალექსანდრე ულიანოვი ვერ ასცდა თვითმპყრობელობის ულმობელ განაჩენს — 8 მარტს იგი ჩამოახრჩეს.

მკაცრ სინამდვილესთან ამ ტრაგიკულ შეჯახებებში იწრთობოდა ჭაბუკი ლენინის ხასიათი, ყალიბდებოდა მისი შეხედულებანი. რა ღრმა რწმენა იგრძნობა ჭაბუკი ლენინის სიტყვებში, როცა იგი დაღუპულ ძმას მიმართავს:

— „არა, საშა, ჩვენ ამ გზით არ წავალთ, ეს გზა არ ვარგა!“

ფილმი მთავრდება ვლადიმერ ილიას-ძის გამგზავრებით ყაზანის უნივერსიტეტში.

„ულიანოვების ოჯახი“ ღრმად ამაღელვებელი ნაწარმოებია. ფილმის დამდგმელებს არ გამორჩენიათ თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც დაკავშირებულია დიდი ლენინის სიჭაბუკესთან. კარგად მოქცეულან დამდგმელები, რომ ფილმში ჩაურთავთ ანა ულიანოვას მოგონებანი.

დიდხანს გვემახსოვრება კინოფილმიდან ისეთი მართალი, სიცოცხლით აღსავსე ეპიზოდი, როგორიც არის, მაგალითად, ვალოდია ულიანოვის შეჯახება გიმნაზიის დირექტორთან მასწავლებელ ოგოროდნიკოვის გულისათვის.

შეურაცხყოფილ მასწავლებელი ოგოროდნიკოვი გიმნაზიიდან მიდის. საგულისხმოა ვალოდია ულიანოვისა და მასწავლებელ ოგოროდნიკოვის შეხვედრა. მასწავლებლის სახეზე სიხარული და კმაყოფილება აღიბეჭდება, როცა იგი შეიტყობს, რომ ვალოდია ულიანოვი ილია ნიკოლოზის-ძის შვილია. ამ პატარა მხატვრული დეტალის საშუალებით ხაზგასმულია უდიდესი პატივისცემა ულიანოვების ოჯახისადმი.

კინოფილმს წითელი ზოლივით გასდევს ულიანოვების ოჯახის ის დიდი მწუხარება, რომელიც საშას დაღუპვამ გამოიწვია. განსაკუთრებით ეს ვალოდია ულიანოვის ხასიათს დაეტყო. იგი არასდროს არ ივიწყებს ამ ტრაგიკულ ამბავს. ჩვენ ვიცით, გაიარა წლებმა და ლენინმა შეაქმნა პარტია — მშრომელი მასების ხელმძღვანელი და ორგანიზატორი თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ლენინის დროშით წაუძღვა წინ ეს პარტია მშრომელებს და კიდევაც მოიპოვა უდიდესი გამარჯვება.

ფილმში ვალოდია ულიანოვის როლს ასრულებს ხაბაროვსკელი მსახიობი ვ. კოროვინი.

ს ურ ა თ ზ ე: კადრი ფილმიდან „ულიანოვების ოჯახი“.

ნერგავენ მოწინავე ტექნიკას

ხშირად მოუსვენარი აზრის ადამიანებს ეძახიან წარმოების ნოვატორებს.

სად არ ნახავთ მათ, რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს, წარმოების ნოვატორებსა და მოწინავეებს — ყველგან, მაღაროსა თუ შახტის სანგრევებში, ქარხნებისა თუ ფაბრიკების საამქროებსა და უბნებში, სამმართველოთა განყოფილებებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში, ყველგან. ისინი ერთთავად ეძებენ რაღაც ახალს, ერთთავად იმის ფიქრში არიან, თუ რა გაუმჯობესება შეიტანონ ტექნიკაში, ტექნოლოგიაში, შრომის მეთოდებში. ისინი ჩასაფრებულან და ნადირობენ წამებზე, წუთებზე, საათებზე, რათა მოგებულ დროში მეტი დეტალები გამოჩარხონ. იაინი ხელმოკლილ მეთჯახესავით კაპიკს კაპიკზე აღებენ, ზოგავენ სახელმწიფო ქონებას, ზოგავენ შაურებსა და მანეთებს, რომ გაადიდონ სახალხო დოვლათი, უფრო იაფად დაუსვან ფაბრიკასა და ქარხანას ყოველი ნაწარმი. ისინი ქმნიან ახალ იარაღებსა და სამარჯვეებს, იგონებენ ნახევნებსა და აგრეგატებს, ცვლილებები შეიტანენ ტექნოლოგიურ პროცესებში, ეკეთ აწარმოებენ შრომას და ყოველივე ამას აკეთებენ ერთადერთ მიზნისათვის, რომ უფრო ნაყოფიერი იყოს მათი შრომა, უფრო მეტი პროდუქცია მისცენ საყვარელ სამშობლოს, გაზარდონ მისი ეკონომიური ძალიერება.

ამ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ქვეყანა გულდასმით ეცნობა და ეხმაურება ჩვენი სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს საიუბილეო სესიაზე მიღებულ მიმართვას, რაციონალიზატორები და გამომგონებლები კიდევ უფრო აძლიერებენ შემოქმედებითს მუშაობას, წარმოებს მუშაკები უშვებენ ახალ პროდუქციას, მექანიზმებს, რომლებითაც აღიჭურვებიან მშენებლობები და საწარმოები.

ბრავალ მშენებლობაზე იცნობენ რუსთავის

ექანიკური ქარხნის პროდუქციას — ამწეებს. პირველ სურათზე თქვენ ხედავთ ქარხნის ზეინკლებს მონტაჟეებს ა. ანშიცს (მარცხნივ) და ა. ყიდოვს, რომლებიც ამწეს მონტაჟებენ.

მეორე სურათზეა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის საწინავე ოატატი ა. ტიროფეევი (მარცხნივ), რომელიც ხარატებს ნ. დუნეიცსა და ა. ზარდიანოვს აცნობს ახალი დეტალის — საპოხ-საშეპის დამუშავების ფრსს.

ამ მთელ ჩვენს რესპუბლიკაში იცნობენ ჭიათურელ ნოვატორს, ღრმა მაყურებათ ბურღვის ინჟინერს კ. ნადარაძეს (ფოტოში) მესამე სურათზე — აი იგი უხანის ბურღვის თავის მეთოდს ინტროვიან სახელობის ... მბურღავ კ ებს ... წერეთელსა და ე. კა-ბაძეს.

ფოტო ვ. სტოლიაროვის, ...ს, ვ. ხარატიშვილის და შ. გოქაძისა.

ი. ჭავჭავაძის იუბილესადმი მიძღვნილი კინოჟურნალი

გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ი. ჭავჭავაძის საიუბილეო დღეებს მიეძღვნა თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალი კინოჟურნალი „პიონერი“ № 5 (მონტაჟის რეჟისორი ლ. გოშაძე, ოპერატორები შ. მაჩაიძე, ა. პოღოსოვი, ნ. ნაგორნი, ვ. კურიანი).

ფილმის პირველი კადრები მაყურებელს აცნობენ იმ ადგილებს, სადაც დაიბადა დიდი ილია. ეკრანზე მოჩანს მწერლის სახლი ყვარელში. მოსწავლეები ინტერესით ათვალიერებენ სახლ-მუზეუმში გამოფენილ ექსპონატებს. კადრები გადადის თბილისში. აი ის ადგილი, ყოფილი გიმნაზიის შენობა, ახლა თბილისის I საშუალო სკოლა, სადაც სწავლობდა ილია. შემდეგ ნაჩვენებია პეტერბურგი, ი. ჭავჭავაძის სახლი-მუზეუმები თბილისში, საგურამოში, გადაღებულია ილიასეული ნივთები, ის ადგილები, სადაც მას უყვარდა დასვენება. წიწამურში მოსწავლეები თაიგულებით ამკობენ ილიას ობელისკს.

კინოჟურნალის დასასრულს გადაღებულია ი. ჭავჭავაძის საიუბილეო დღეების აღნიშვნისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, მოსწავლეთა საქალაქო შეკრება და პიონერ-მოსწავლეთა მიტინგი, რომელიც გაიმართა ილიას საფლავზე მთაწმინდის პანთეონში.

ქართველ კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებები

სსრ კავშირის მუსიკალური ფონდის საქართველოს განყოფილებამ მიმდინარე წელს გამოსცა ქართველ კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებები. მათ შორის აღსანიშნავია ა. ბალანჩივაძის რაფსოდია, ვ. ცაგარეიშვილის — სიმღერების კრებული, ო. თაქთაქიშვილის „კონცერტინო“, დ. თორაძის — ორი მინიატიურა, ა. მაკავარიანის — სამი ვოკალური დუეტი, ს. ცინცაძის — სიუიტა № 8, გ. კოკელაძის საბავშვო საგუნდო სიმღერა ციკვით „აქ მობრძანდით, მეგობრებო“, მისივე — „საზეიმო მგზავრული“, რ. გაბიჩვაძის — ოთხი რომანსი და სხვ.

საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისათვის მზადებასთან დაკავშირებით, რომელიც გაიმართება მოსკოვში, გამოსაცემად მზადდება ქართველ კომპოზიტორთა რომანსებისა და სიმღერების, საფორტეპიანო ნაწარმოებების. საგუნდო და საბავშვო სიმღერების კრებულები, ქართული მუსიკის კლასიკოსების — ზ. ფალიაშვილის, მ. ბალანჩივაძის, დ. არაყიშვილის რჩეულ ნაწარმოებთა კრებული, გამოცემული იქნება აგრეთვე ო. თაქთაქიშვილის სიმფონია და საფორტეპიანო კონცერტი, ა. ბალანჩივაძის მესამე საფორტეპიანო კონცერტი და სიმფონია, შ. მშველიძის პოემა „ზვიადაური“ და ორატორია „კავკასიონის“ კლავირი, ა. ბუკიას საბავშვო ოპერის — „დაუპატიჟებელი სტუმრებისა“ და ა. ბალანჩივაძის ბალეტ „მთების გულის“ კლავირი, აგრეთვე ქართველ კომპოზიტორთა სხვა კამერული ნაწარმოებები.

აფხაზეთის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა

სპექტაკლი თანამედროვეობის თემაზე

აფხაზური ლიტერატურის ყველაზე ახალგაზრდა ჟანრი არის დრამატურგია. იგი ჩაისახა ჩვენი საუკუნის ოციან წლებში და თავისი განვითარების 30 წლის მანძილზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

აფხაზ დრამატურგთა რიგებს უკანასკნელ ხანებში ახალი ძალები შეემატა. მათ შორის ყურადღებას იპყრობს შარახ ფაჩალია, რომლის კალამს ეკუთვნის ოთხმოქმედებიანი კომედია „გუნდა“, შეტანილი სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სადეკადო რეპერტუარში.

კომედია უწინარეს ყოვლისა საყურადღებოა თემატიკის აქტუალობით. ავტორი გვიხატავს აფხაზეთის დღევანდელ სოფელს, იმ ნაკლოვანებებსა და სიძნელეებს, რომლებიც ჯერ კიდევ ხელს უშლიან საკოლმეურნეო მშენებლობის წინსვლას.

პიესის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, ზაური, წარსულში კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირი იყო. თავისი მუყაითი, შემოქმედებითი წრომით იგი სოციალისტური შრომის გმირი, ყველასათვის სამაგალითო ადამიანი გახდა. მაგრამ გავიდა დრო, და დაიწყო ზაურის თანდათანობითი გადაგვარება. მან მოითხოვა ყურადღების ცენტრში მხოლოდ ის და მისი ბრიგადა ყოფილიყო. მას შეუმუშავდა გაზვიადებული წარმოდგენა საკუთარ თავზე, გახდა ეგოისტი. ზაურის ასეთ ხასიათს ხელს უწყობენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, პარტორგანიზაციის მდივანი და კოლმეურნეობაში მოკალათებული გადაგვარებული ადამიანები, რომლებიც ანიავებენ კოლმეურნეობის ქონებას.

კოლმეურნეობის ქონების ამ გამნიავებლებს გაბედულად შეებრძოლება ახალგაზრდა აგრონომი ქალი გუნდა. მას მხარში ამოუდგებიან კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი მინაზი, ბრიგადირი მუშნი და სხვა მოწინავე კოლმეურნეები. გუნდას გატაცებით უყვარს ზაური. მიუხედავად ამისა, იგი მტკიცედ იბრძვის მის წინააღმდეგ, ამხილებს საჯაროდ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე და მისი მიმდევრები შეეცდებიან ზაურსა და გუნდას წორის მტრობა ჩამოაგდონ. პირველ ხანებში თითქოს აღწევენ კიდეც ამას, ზაურს დაეჭვებენ. მაგრამ როცა ღრმად დაუკვირდება თავის მოქმედებას, იგი ხვეიგნებს შეცდომას კოლმეურნეობისა და გუნდას წინაშე.

როგორც ვხედავთ, პიესაში აქტუალური საკითხებია დაყენებული. იგი მამხილებელი ხასიათისაა და იბრძვის კოლმეურნეთა მუშაობაში დამახინჯებათა აღმოფხვრისათვის, ადამიანთა ზეგნებაში ეგოისტური განწყობილების, ბურჟუაზიული გადმონაშთების დაძლევისათვის. პიესა გონებამახვილურად, ცოცხლად არის დაწერილი. მასში ხშირად გვხვდება იდიომატური გამოთქმები, ანდაზები, ხალხური თქმები. აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორს ცალკეული პერსონაჟები ცოცხლად დაუხატავს, მათი ხასიათები მკაფიოდ არის მოხაზული. ასეთები არიან თვით გუნდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე მახაზი, ბრიგადირი ზაური, ბუხჰალტერი ანდარბუა და სხვები.

მაგრამ კომედიის ზოგიერთი გმირი მეტად მკრთალად გამოიყურება, მათი სახეები დასრულებული არ არის. ასეთები არიან თუნდაც ბრიგადირი მუშნი, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი და სხვ. ამ კომედიასაც ის ნაკლი აქვს, რაც მრავალ თანამედროვე კომედიას. დადებითი პერსონაჟები უფრო სქემატური არიან, ხოლო უარყოფითი პერსონაჟები — უფრო მკვეთრად, მახვილად არიან დახატულნი და ამიტომ მეტი სიცხოველით გამოირჩევიან. კომედიას, განსაკუთრებით მის მეორე ნაწილს, ერთგვარი სქემატიზმი ემჩნევა. მხატვრულად მოტივირებული არ არის ზაურის გარდაქმნა. მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, „გუნდა“, როგორც ერთ-ერთი პირველი აფხაზური ნაწარმოები კომედიის ჟანრში, უთუოდ მისასალმებელია.

სპექტაკლი დადგმულია კომედია „გუნდას“ ავტორის შ. ფაჩალიას მიერ. ბუნებრივია, რომ იგი კარგად გრძნობს და განიცდის თავისი პიესის რიტმს, მისი პერსონაჟების სულიერ სამყაროს. ავტორისათვის, ჩანს, მახლობელია კომედიური ჟანრი, რაც რეჟისორულ გამომგონებლობასა და თავისებურ სასცენო საღებავებს მოითხოვს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სპექტაკლი ხალისიანად ყღერს, მძაფრ მამხილებელ ძალასთან ერთად ღრმა ოპტიმისტური განწყობილებით არის აღსავსე. სპექტაკლმა კიდევ ერთხელ ცხადყო სოხუმის თეატრის აფხაზური დასის დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

ისევე როგორც „ლალატისა“ და „მამელუკის“, ამ სპექტაკლის დეკორაციული გაფორმებაც მშვენივრად აქვს გადაწყვეტილი ნიჭიერ მხატვარს ნ. ყაზბეგს. ხალისიანი საღებავებით გადმოგვცემს იგი აფხაზეთის წარმატაც პეიზაჟებს, მზით განათებულ მთებსა და ზღვას. მხატვარი ყოველ სცენაში იძლევა იმ ადგილმდებარეობის კოლორიტს, სადაც მოქმედება ვითარდება.

მაგრამ სპექტაკლის წარმატების მთავარ პირობად უთუოდ ნიჭიერი მსახიობები გვევლინებიან.

კომედიაში მთავარი პერსონაჟია გუნდა ნანბა — მოწინავე აგრონომი, რომელიც გაბედულად იბრძვის კოლმეურნეობაში წესიერების აღდგენისათვის. მსახიობი ა. არგუნი-კონოშოკი გუნდას ხასიათში სწორედ ამ მებრძოლ სულს უსვამს ხაზს. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მსახიობი უფრო ძლიერი და უშუალო მაინც ლირიკულ სცენებში ჩანს.

პირველი წარმატებით თავბრუდახვეული, გათამამებული და გადაგვარების გზაზე დამდგარი ბრიგადირის ზაურ მირბას ნუსანიშვა სახეს ქმნის შ. ფაჩალია. იგი კარგად გადმოგვცემს ადამიანს, რომელიც სულიერი სიღატაკის საფრთხის წინაშე დამდგარა. სპექტაკლის ცენტრში დგას ბუხჰალტერ ანდარბუას როლის შემსრულებელი რ. აგრბა, რომელიც დიდი ზომიერებისა და ტაქტის გრძნობით არის დაჯილდოებული. მის მიერ შექმნილი ბედოვლათ ბუხჰალტრის სახე მეტად კოლორიტული და მკაფიოა. ცალკე უნდა გამოიყოს კოლმეურნეობის თავმჯდომარის როლის შემსრულებელი ა. აგრბა, რომელიც მხატვრული სილრმით გვიხატავს თავის გმირს.

როგორც ი. კოკოსკერია (მუშნი), ისე სპექტაკლის დანარჩენი მონაწილენი მ. კასლანძია (მინაზა), ვ. დბარი (ანტიცა), ხ. ჯოპუა (გუგუ), ს. კობახია (მასი), მ. კოვე (ხაგბა), ნ. ჩიქოვანი (ჩანთა), მ. ფაჩალია (კუმფ ჩამაგუა), ჯ. მიქვაბია (პაჯარათი), ნ. ავიძბა (დაუთ ანშბა), ვ. მარღანია (რაშიდი) ინდივიდუალიზებულ, დასამახსოვრებელ სახეებს ქმნიან.

საერთოდ სპექტაკლი „გუნდა“, როგორც რეჟისორული გაგებრეთ, ისე აქტიორული შესრულებით მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ჩვენს თეატრალურ ხელოვნებაში. ამიტომ მიიღო იგი გულთბილად მაყურებელმა.

შ. აფხაი.

ს ურ ა თ ზ ე: სცენა სპექტ ... ლიდან „გუნდა“.

ინტერესო საღამო

ლაგოდეხი. (საკ. კორ.). ამ დღეებში მოეწყო ახალგაზრდობის საღამო, რომელიც მიეძღვნა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა საერთაშორისო დღეებს. საღამოს ესწრებოდნენ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების მონაწილენი.

რაიონის ახალგაზრდობის შრომითი მიღწევების შესახებ ილაპარაკა კომკავშირის ლაგოდეხის რაიკომის მდივანმა ზ. აბაზაძემ. ყამირ მიწებზე მოსავლის აღებაში რაიონის ახალგაზრდობის თავდადებულ მუშაობაზე შეჩერდა გ. ტინტილოზაშვილი. ახალგაზრდობის VI მსოფლიო ფესტივალზე მიღებული შთაბეჭდილება დამსწრეებს გაუზიარა ც. ლომაიამ.

შრომაში მოპოვებული წარმატებებისათვის მოწინავე ახალგაზრდებს საზეიმოდ გადაეცათ ყაზახეთის სსრ კომკავშირის კუსტანაის საოლქო კომიტეტის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კულტურისა სამინისტროების საპატიო სიგელები.

ხელსაწყო-ინსტრუმენტები გეგმის გადამეტებით

ჩვენს ლითონდამუშავების საწარმოებში ყველგან დიდი მოთხოვნილებაა ხელსაწყო-იარაღებზე, რომლებსაც თბილისის საინსტრუმენტო ქარხანა უშვებს. წელს ამ საწარმოს კოლექტივმა კარგად იმუშავა, წლიური დავალება 6 ნოემბერს შეასრულა და მის შემდეგ პროდუქციას გეგმის გადამეტებით იძლევა.

ქარხნის კოლექტივი ახლა იმისათვის იბრძვის, რომ წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს საგრძნობი თანხის ლითონდასამუშავებელი ხელსაწყო-იარაღები.

ს. საგანელიძე,
თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის საქარხნო კომიტეტის წევრი.

აქ ეცნობიან მოწინავეთა გამოცდილებას

სტალინირი. (საკ. კორ.). გაიხსნა საოლქო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელიც ასახავს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის წარმატებებს მიმდინარე წელს. წარმოდგენილი მასალები — ცოცხალი ექსპონატები, დიაგრამები და სტენდები მნახველებს მოუთხრობენ ოლქის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მიერ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის გაწეულ მუშაობაზე.

გამოფენაზე ყურადღებას იპყრობს მექანიზაციის პავილიონი, სადაც არის იარაღ-მანქანები, რომლებითაც აღჭურვილია ოლქის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები. აი ვეებერთელა „დ-267“ მარკის არხსათხრელი მანქანა. იგი ეს-ეს არის მიიღეს ოლქში და მომავალი წლიდან ფართოდ გამოიყენებენ ტირიფონის, ვანათისა და კეხვის სარწყავი არხების ქსელის შემდგომ გაფართოებაზე. აქვეა შაქრის ჭარხლის სატვირთავი, ახალი ტიპის მაღალი წარმადობის ორმოსათხრელი მანქანები.

სახალხო მეურნეობის პავილიონში ნაჩვენებია ოლქის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის ზრდა. გამოფენილია სხვადასხვა სახის პროდუქცია, რომელსაც სამხრეთ ოსეთის საწარმოები უშვებენ, აგრეთვე წიაღისეულ სიმდიდრეთა ნიმუშები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სპეციალური საშუალო სასწავლებლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის ზრდის მაჩვენებლები.

დიაგრამები მნახველებს მოუთხრობენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდასა და კოლმეურნეთა ეკონომიკის განმტკიცებაზე. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ოლქის კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 9 მილიონი მანეთით გადიდდა. ყოველწლიურად მატულობს მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი, დიდდება ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე მიღებული პროდუქციის რაოდენობა.

დამთვალიერებლები დიდ ინტერესს იჩენენ მემინდვრეობის პავილიონისადმი. აქ წარმოდგენილი მასალები მოგვითხრობენ, რომ ოლქის კოლმეურნეობებში თვალსაჩინო მიღწევებია მოპოვებული მარცვლეულის ახალი ჯიშების გამოცდისა და წარმოებაში დანერგვის საქმეში. შემოდგომის ხორბლის ახალი ჯიშის „ვარგისის“ მოსავალმა საშუალოდ ოლქში ჰექტარზე 24,1 ცენტნერი შეადგინა, ხოლო ცალკეულმა კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა გაცილებით უკეთესი მოსავალი მიიღეს.

პავილიონის ახლოს მოწყობილ მექანიზებულ ფერმაში ექსკურსანტები ათვალიერებენ სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პირუტყვს. ველის წითელი ჯიშის ძროხებთან ერთად აქ არიან ადგილობრივი ჯიშის ძროხები, რომლებიც წელიწადში 1.800-2.000 კილოგრამ რძეს იძლევიან. ერედვის კოლმეურნეობის მწველავმა დარო ბერუაშვილმა, რომელსაც მოსავლელად 12 ძროხა ჰყავს მიჩენილი, თვითეულზე 2.600 ლიტრი რძე მიიღო. მეცხოველეობის პავილიონში ნახავთ ამავე კოლმეურნეობის მოწინავე მწველავის ვარდი საბანოვას და ზნაურელი მეცხოველის ნინო ალბოროვას პორტრეტებს. ისინი ძროხებს სანიმუშოდ უვლიან და წველადობის მაღალ დონეს აღწევენ.

რძის გამოსავლიანობა ოლქის კოლმეურნეობებში უკანასკნელ 4-5 წლის განმავლობაში თითქმის ერთისამად გადიდდა. ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოების ზრდაზე ისიც მეტყველებს, რომ ოლქმა ვადამდე შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარებისა და შესყიდვის გეგმები.

მეცხოველეობის პავილიონში ფართო ადგილი აქვს დათმობილი მეცხვარეობას. აქ ნაჩვენებია ლენინგორელი მეცხვარეების ვ. ბერიანიძის, ს. ჩიტიშვილის, შ. თეზელაშვილისა და სხვათა წარმატებანი. მთელი რიგი კოლმეურნეობები დიდ შემოსავალს იღებენ მეცხვარეობიდან. ლენინგორის რაიონის მეცხვარეობის კოლმეურნეობათა შემოსავალმა მარტო ცხვრისაგან 14 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

ცალკე პავილიონი აქვს დათმობილი მებაღეობა-მევენახეობას. პავილიონში არსებული დიაგრამები ნათელყოფენ, რომ სამხრეთ ოსეთში სისტემატურად იზრდება ბაღებისა და ვენახების ფართობი. ხილისა და ყურძნის უხვი მოსავალი მოჰყავთ ზნაურის რაიონის სოფლების ავნევის, მუგუთის, სტალინირის რაიონის სოფლების არცევის, ქსუისის კოლმეურნეობებში. ოლქის კოლმეურნეობებში ვაშლის საშუალო მოსავალმა ჰექტარზე 82 ცენტნერი შეადგინა, ხოლო ყურძნისამ — 45 ცენტნერი.

გამოფენაზე ფართოდ არის წარმოდგენილი მოწინავე კოლმეურნეობები, რომლებისთვისაც ცალკე პავილიონია განკუთვნილი. ამ კოლმეურნეობათა რიცხვში არიან ლენინგორის რაიონის სოფლების წინაგარის, უკანამხარის, ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის, სტალინირის რაიონის სოფლების არცევის, ერედვის, ძარწემისა და სხვა კოლმეურნეობები. მნახველები ეცნობიან მოწინავე კოლმეურნეთა გამოცდილებას, მუშაობის ხერხებსა და მეთოდებს.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

• • •

ს ურ ა თ ზ ე: მებაღეობისა და მევენახეობის პავილიონში. ფოტო ვ. უბოჟენკოსი.

დღიური

21 ნოემბერი

საღამოს 8 საათზე თბილისის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში ნაჩვენები იქნება სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის აფხაზური დასის დადგმა — უ. შექსპირის ტრაგედია „ოტელო“.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის საკონცერტო დარბაზში საღამოს 8 საათზე მოეწყობა აფხაზეთის ლიტერატურის საღამო.

თბილისის შაუმიანის სახელობის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრში გაიმართება აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი.

ა. ნოვოგნის მიერ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტის დაკავების ცერემონია

პრაღა, 19 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრების საზეიმო სესიის დამთავრების შემდეგ ეროვნული კრების დეპუტატები და სტუმრები გაემართნენ პრაღის კრემლის შესამე ეზოში, სადაც ჩამწკრივებული იყვნენ ჯარის ნაწილები.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ მიიღო ეროვნული თავდაცვის მინისტრის გენერალ-ლეიტენანტ ბ. ლომსკის პატაკი და შემდეგ როგორც ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიის მთავარსარდალმა, ეროვნული კრების დეპუტატებისა და სტუმრების თანდასწრებით მოაწყო პრაღის გარნიზონის ნაწილების ტრადიციული საზეიმო დათვალიერება. დათვალიერების დროს პრაღის კრემლს გადაუფრინეს რეაქტიული თვითმფრინავების ესკადრილიებმა.

საზეიმო დათვალიერების შემდეგ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ არსებული ტრადიციით შეკრებილთა წინაშე პრაღის კრემლის მესამე ეზოში აივნიდან მოკლე სიტყვა წარმოთქვა.

დღეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ პრაღის კრემლში მიიღო მთავრობის წევრები, უცხოეთის მთავრობათა დელეგაციები, მომმე კომუნისტური პარტიების დელეგაციები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, ეროვნული ფრონტის ორგანიზაციების დელეგაციები, აგრეთვე საწარმოთა მუშების დელეგაციები.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ანტონინ ნოვოტნი

პრაღა, 19 ნოემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს:

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ახლადარჩეული პრეზიდენტი ანტონინ ნოვოტნი დაიბადა 1904 წლის 10 დეკემბერს ლენინიანში პრაღის ახლოს კალატოზის ოჯახში. ა. ნოვოტნიმ მიიღო ზეინკლის კვალიფიკაცია და მუშაობდა სხვადასხვა ქარხანაში როგორც მუშა. 1921 წლიდან, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის შექმნის პირველი წლიდან ანტონინ ნოვოტნი პარტიის წევრია. 1928 წლიდან ანტონინ ნოვოტნის ეკავა მთელი რიგი პარტიული პოსტები. 1935 წელს ა. ნოვოტნიმ, როგორც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის დელეგატმა, მონაწილეობა მიიღო კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესში, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობდა. ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ფაშისტური ოკუპაციის პერიოდში ა. ნოვოტნი მუშაობდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის არალეგალურ ორგანიზაციაში. 1941 წელს გესტაპომ დაიპატიმრა და ოთხ წელიწადს იმყოფებოდა ფაშისტთა ჯურღმულებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში. საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების შემდეგ ანტონინ ნოვოტნის ეკავა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პრაღის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის პოსტი. 1951 წელს არჩეულ იქნა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად და იმავე დროს პოლიტბიუროს წევრად. 1953 წელს იგი დაინიშნა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ. უკანასკნელ წლებში ა. ნოვოტნის ეკავა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტი.

ამერიკის შეერთებული შტატები იტალიას რაკეტული ყუმბარებით აიარაღებენ

ნიუ-იორკი, 19 ნოემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი ბოლდუინი რომიდან იუწყება, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იტალიას შორის მიღწეულია შეთანხმება იტალიის არმიის შეიარაღების შესახებ რაკეტული ყუმბარებით, რომლებაც შეიძლება ჰქონდეთ ატომგულის ჯურვი. გარდა ამისა, ადგენენ გეგმებს, რომელთა თანახმად ზოგიერთი სახეობის რაკეტები იტალიაში გაკეთდება. წარმოებს იტალიის კრეისერ „გარიბალდის“ გადაკეთება, აღნიშნავს ბოლდუინი, მართული ყუმბარებით შეიარაღებისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესია

19 ნოემბრის დილის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი. 19 ნოემბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის დილის პლენარული სხდომა დაიწყო ინდოეთის დელეგაციის რეზოლუციის პროექტის განხილვით, რომელიც შეიცავს მოწოდებას დაინტერესებული სახელმწიფოებისადმი დათანხმდნენ, რომ დაუყოვნებლივ შეწყვეტონ ატომგულისა და თერმოატომგულის იარაღის გამოცდა და აცნობონ გენერალურ მდივანს, რომ მზად არიან ამისათვის. რეზოლუციის პროექტი ითვალისწინებს შეიქმნას მიუკერძოებელი სამეცნიერო-ტექნიკური კომისია, რომელიც ურჩევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიას რა ღონისძიებები უნდა იქნეს მიღებული გამოცდის შეწყვეტისადმი ინსპექციისა და კონტროლის დარგში.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ვ. კუზნეცოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ მოითხოვდა და მოითხოვს ატომური და წყალბადის იარაღისა და მისი გამოცდის სრულ აკრძალვას. ატომგულის იარაღის გამოცდის აკრძალვა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა განიარაღების მთელი პრობლემის გადაჭრაში. საბჭოთა დელეგაცია, განაცხადა ვ ვ. კუზნეცოვმა, მხარს უჭერს ინდოეთის რეზოლუციის პროექტს როგორც პირველ კონკრეტულ ნაბიჯს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების პრობლემის გადაჭრის საქმეში.

ინდოეთის დელეგატმა ლალმა, დაასაბუთა რა მისი დელეგაციის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტის მიღების საჭიროება, მოაგონა დამსწრეთ მთელი მსოფლიოს მეცნიერთა თვალსაზრისი, თუ რა მავნე შედეგები აქვს ატომის რადიაციას ექსპერიმენტულ აფეთქებათა შედეგად და ხაზგასმით აღნიშნა პასუხისმგებლობა, რომელსაც კისრულობენ ასამბლეის დელეგატები, რომლებიც ხმას აძლევენ წინაადადებისა ამ გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

შემდეგ რეზოლუციას კენჭი უყარეს. რეზოლუციას ხმა მისცა 24 დელეგაციამ: ალბანეთის, ბულგარეთის, ბირმის, ბელორუსიის სსრ, ცეილონის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, ეგვიპტის, განის, გვატემალის, უნგრეთის, ინდოეთის, ინდონეზიის, ირანის, მექსიკის, მაროკოს, ნეპალის, პოლონეთის, რუმინეთის, სუდანის, სირიის, უკრაინის სსრ, საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დელეგაციებმა. 34 დელეგაციამ, უმთავრესად იმ ქვეყნების წარმომადგენლებმა, რომლებსაც სამხედრო კავშირი აქვთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ხმა მისცა წინააღმდეგ. 20 დელეგაციამ, რომლებიც თანაუგრძნობენ ინდოეთის წინადადებას, მაგრამ ვერ გაბედეს ხმა მიეცათ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის წინააღმდეგ, თავი შეიკავა (ავღანეთი, ავსტრია, ბოლივია, კამბოჯა, ერაყი, ირლანდია, იაპონია, იორდანია, ლაოსი, ლიბანი, ლიბერია, ლიბია, მალაია, ხიკარაგუა, პერუ, საუდის არაბეთი, შვეიცარია, ტუნისი, ურუგვაი, იემენი) ოთხ დელეგაციას არ მიუღია მონაწილეობა კენჭისყრაში. იმის გამო, რომ ბევრმა დელეგაციამ თავი შეიკავა, რეზოლუცია უარყოფილ იქნა, თუმცა მის წინააღმდეგ ხმა მისცა დელეგაციათა ნახევარზე ნაკლებმა (34 დელეგაციამ 82-დან).

არაბი ხალხების ძალა მათი ერთიანობაა

დამასკო, 19 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს გაიმართა სირიის პარლამენტის სხდომა. სხდომაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ეგვიპტის ეროვნული კრების 42 დეპუტატმა, რომლებიც სირიაში ჩამოვიდნენ ეგვიპტის პარლამენტის დელეგაციის შემადგენლობაში. ამ საზეიმო სხდომას ესწრებოდნენ სირიის არმიის მაღალი თანამდებობის ოფიცრები, სირიის წამყვანი საზოგადო, პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწეები, დიპლომატიური კორპუსი, პრესის წარმომადგენლები. სხდომაზე რიგრიგობით თავმჯდომარეობდნენ სირიის პარლამენტის თავმჯდომარე აკრამ ჰაურანი და ეგვიპტის ეროვნული კრების თავმჯდომარის მოადგილე და ეგვიპტის პარლამენტის დელეგაციის მეთაური ანვარ სადათი. სხდომაზე განხილულ იქნა სირია-ეგვიპტის ფედერაციის შექმნის საკითხი.

გახსნა რა პარლამენტის სხდომა, აკრამ ჰაურანიმ აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს არაბი ხალხების ერთიანობას და განსაკუთრებით ეგვიპტისა და სირიის ხალხთა ღონისძიებების გაერთიანებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მან ხაზი გაუსვა იმ მხარდაჭერის მნიშვნელობას, რომელსაც არაბ ხალხებს უწევენ მათ ბრძოლაში „მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები დიდი საბჭოთა კავშირის მეთაურობით“.

საპასუხო სიტყვაში ანვარ სადათმა განაცხადა, რომ ეგვიპტელი ხალხი მზად არის ყოველგვარი აგრესიის წინააღმდეგ იბრძოლოს სირიის მხარდამხარ, რომელიც გმირულად იცავს თავის ეროვნულ დამოუკიდებლობას.

სირიის პრემიერ-მინისტრმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა საბრი ასალიმ თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ სირიის მთავრობა თავის მხრივ ყოველ ღონეს იხმარს, რათა განხორციელდეს გადაწყვეტილება სირია-ეგვიპტის ფედერაციის შექმნის შესახებ.

ყველა გამოსულმა დეპუტატმა მკაცრად გაკიკიცა იმპერიალისტური „ეიზენჰაუერის დოქტრინა“ და მოითხოვა არაბთა სოლიდარობის განმტკიცება.

სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც მოუწოდებს სირიის და ეგვიპტის მთავრობებს განაგრძონ ღონისძიებები სირია-ეგვიპტის ფედერაციის შესაქმნელად.

მთავრობის კრიზისი ფინეთში

ჰელსინკი, 19 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ფინეთის დეპეშათა ბიურო იუწყება, პრემიერ-მინისტრის პოსტზე აგრარული კავშირის კანდიდატმა ვ. ი. სუქსელაინენმა რესპუბლიკის პრეზიდენტის უ. კ. კეკონენის დავალების შესაბამისად დღეს საპარლამენტო ფრაქციებს მიმართა თხოვნით აცნობონ, თუ როგორ ეკიდებიან ფრაქციები უმრავლესობის მთავრობის შექმნას, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდა ყველა ფრაქცია პარლამენტში თავიანთი წარმომადგენლობა შესაბამისად.

„ფინეთის სახალხო პარტიამ“, შვედთა სახალხო პარტიამ კოალიციურმა პარტიამ, ფინეთის ხალხის დემოკრატიულმა კავშირმა უარყვეს ეს წინადადება, სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ განაცხადა, რომ მას არ სურს მოლაპარაკება აწარმოოს ამ წინადადების შესახებ. აგრარული კავშირი ამ წინადადების წინააღმდეგი არ არის, თუ მას მოიწონებენ დანარჩენი პარტიები. ამ საფუძველზე სუქსელაინენმა რესპუბლიკის პრეზიდენტს აცნობა, რომ არ არის შესაძლებლობა ყველა პარტიამ ითანამშრომლოს მთავრობაში და რომ მას თავისი მისია დამთავრებულად მიაჩნია.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 19 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ეროვნულმა კრებამ ნდობა გამოუცხადა გაიარის მთავრობას და საგანგებო რწმუნებები მიანიჭა მას ფინანსების დარგში. არაოფიციალური მონაცემებით, ამ გადაწყვეტილებას ხმა მისცა მთავრობის უმრავლესობის პარტიების 255 წევრმა. 191 დეპუტატმა ხმა მისცა მთავრობისათვის ხდობის გამოცხადების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობისათვის

იმ შეთანხმების შესაბამისად, რომელიც მიღწეულია 1957 წლის თებერვალში საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის, უკანასკნელ ხანს მოსკოვში მოეწყო მოლაპარაკება სავაჭრო-ეკონომიურ საკითხებზე შეთანხმებათა დადების შესახებ.

ამ მოლაპარაკების შედეგად, რომელიც ნამდვილი თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა, აშშ წლის 19 ნოემბერს ხელმოწერილია შეთანხმება სსრ კავშირისა და ბულგარეთის საქონლის ურთიერთ მიწოდების შესახებ 1958 1960 წლებში და ოქმი საქონლის ურთიერთ მიწოდების შესახებ 1958 წელს, აგრეთვე შეთანხმება იმის შესახებ, რომ 1960-1970 წლებში ბულგარეთი სსრ კავშირს მიაწვდის ყურძენს, ხილსა და ბოსტნეულს, ხოლო სსრ კავშირი ბულგარეთს მიაწვდის ხორბალს, ბამბასა და შაბიამანს.

დადებული სამწლიანი სავაჭრო შეთანხმების მიხედვით საქონელბრუნვა სსრ კავშირსა და ბულგარეთს შორის 1960 წელს მნიშვნელოვნად გადიდდება 1957 წელთან შედარებით.

საბჭოთა კავშირი ბულგარეთს მიაწვდის მისი სახალხო მეურნეობისათვის საჭირო საქონელს, კერძოდ სამრეწველო მოწყობილობას, საგზაო-სამშენებლო მანქანებს, ავტომობილებს, შავ და ფერად ლითონებს, კოქსს, ნავთობპროდუქტებს, სასუქებს, შაბიამანს, ბამბას, ქაღალდსა და სხვა აქონელს.

ბულგარეთი საბჭოთა კავშირს მიაწვდის ფერადი ლითონების მადნის კონცენტრატებს, შეკერილ ნაწარმს, თამბაქოს, ფეხსაცმელს, ახალ და დაკონსერვებულ ხილსა და ბოსტნეულს, საკონიაკო სპირტს, ყურძნის ღვინოს, ავეჯსა და სხვა საქონელს.

დადებული შეთანხმებანი ახალი წვლილია ორივე ქვეყნის ურთიერთსასარგებლო და სასალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა შესაბამისი ეკონომიური ურთიერთობის განვითარებაში.

თავდასხმა ფრანგ კომუნისტებზე

პარიზი, 19 ნოემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, 16 ნოემბერს ღამით ტულუზის რაიონში ავტომატებითა და პისტოლეტებით შეიარაღებულ ფაშისტთა ბანდა თავს დაესხა მანქანას, რომლითაც მიდიოდნენ კომპარტიის ზემო გარონის დეპარტამენტის ფედერაციის ხელმძღვანელები ოქტომბრის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი კრების შემდეგ. ბანდიტებმა სროლა დაუწყეს მანქანას და სცადეს კომუნისტების დახოცვა.

გაზეთი წერს: „დამტკიცებულია, რომ საფრანგეთში არსებობენ შეიარაღებული ანტიკომუნისტური ჯგუფები. მათ შემადგენლობაში არიან კარგად ეკიპირებული და გაწვრთნილი მკვლელები. კომუნისტებს ესვრიან; დემოკრატებს, რომლებიც ამხილებენ წამებას ალჟირში, დახოცვით ემუქრებიან... რესპუბლიკელებმა უნდა შეიგნონ მდგომარეობის მთელი სერიოზულობა და გაერთიანდნენ საფრთხის წინააღმდეგ“.

ეგვიპტის ეროვნულმა კრებამ ერთსულოვნად მოიწონა სირიის პარლამენტის დეპუტატთა გადაწყვეტილება

კაირო, 19 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ გვიან საღამოს ეგვიპტის ეროვნულმა კრებამ ერთსულოვნად მოიწონა სირიის პარლამენტის გადაწყვეტილება, რომელმაც მოუწოდა სირიისა და ეგვიპტის მთავრობებს დაუყოვნებლივ დაიწყონ პრაქტიკულ ღონისძიებათა განხილვა ორ ქვეყანას შორის ფედერალური კავშირის განსახორციელებლად.

სირიის პარლამენტის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ეგვიპტის ეროვნული კრების დელეგაციის წევრთა მონაწილეობით და სრული მოწონებით, დელეგაციისა, რომელიც დამასკოში ჩამოვიდა, რათა გადასცეს სირიის ხალხს ეგვიპტელი ხალხის ძმობისა და სოლიდარობის გრძნობა.

თბილისი. სტალინის რაიონში ბრძოლის ველზე ახალი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულს, გაიხსნა მარცხენა მხარის თბილკვებმაღაზრობის ტრესტის რძისა და ხორცის პროდუქტების № 78 მაღაზია. სურათზე: ახალი მაღაზიის ხორცის პროდუქტების სექციის გამყიდველი ს. დიმიტრაშვილი ყიდის პროდუქტებს.

ფოტო გ. დარსაველიძისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ახალგაზრდა მსახიობები — მაყურებელთა წინაშე

ამ დღეებში თბილისელ მაყურებელთა წინაშე თავიანთი შემოქმედებითი ანგარიშით წარსდგნენ თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის ახალგაზრდა მსახიობები.

ორივე თეატრში გამართულ შემოქმედებითს საღამოებზე ახალგაზრდა მსახიობთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებებით გამოვიდნენ თეატრმცოდნეები ე. დავითაია და კ. გაწერელია.

ახალგაზრდა მსახიობებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს დედაქალაქის თეატრალური და მუსიკალური საზოგადოებრიობის, საწარმო დაწესებულებების წარმომადგენლებმა, მოსწავლეებმა.

შემოქმედებითი საღამოების მხატვრულ განყოფილებაში ახალგაზრდა მსახიობთა მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა სცენები მუსიკალური კომედიის თეატრისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის სხვადასხვა სპექტაკლიდან.

თბილისის უნივერმაღში დადგეს ფანჯრების გასაყიდი ავტომატი. სურათზე: ნორჩი მყიდველები ახალ ავტომატთან.

ფოტო გ. კოკვაძისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

სპორტის ამბები

საერთაშორისო მატჩი

გასულ კვირას მოსკოვში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ჭიდაობა სამბოში უნგრეთის დოჟას სახელობის სასპორტო კლუბისა და „დინამოს“ ნაკრებ გუნდებს შორის. შეხვედრა მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა და დამთავრდა საბჭოთა მოჭიდავეების გამარჯვებით 8:0. „დინამოს“ გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ა. ბოგოლიუბოვი, ი. ფედოტოვი, შ. დაუშვილი, ო. შინჯიკაშვილი და სხვები.

უძლიერეს ფრენბურთელთა ტურნირი

19 ნოემბერს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე დამთავრდა ჩვენი ქვეყნის ფრენბურთელთა უძლიერესი კოლექტივების ტურნირი მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი.

ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ ზონალურ სპარტაკიადებში გამარჯვებულნი, აგრეთვე მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ და უკრაინის ნაკრები გუნდები.

ქალთა გუნდებს შორის მოსკოველმა ფრენბურთელებმა ფინალში დაამარცხეს (3:2) ლენინგრადის გუნდი და პირველი ადგილი დაიკავეს.

დიდი ინტერესი ეამოიწვია ვაჟთა გუნდებმა ასპარეზობამ. აქ წარმატებით გამოვიდა აზერბაიჯანის გუნდი, რომელმაც დასკვნითი შეხვედრა მოიგო (3:1) უკრაინელ ფრენბურთელებთან.

საკავშირო პირველობის ნახევარფინალები

სვერდლოვსკსა და კიევში გაიმართა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ნახევარფინალურ შეხვედრათა მეექვსე ტური ჭადრაკში.

სვერდლოვსკის ჯგუფში წარმატებით გამოდის საქართველოს წარმომადგენელი ოსტატი ბ. გურგენიძე. მან მეექვსე ტურში დაამარცხა ოსტატი ლ. არონსონი (ლენინგრადი) და ლიდერთა რიგებში ჩადგა.

ექვსი ტურის შემდეგ სვერდლოვსკის ნახევარფინალში წინ არიან ვ. კორჩნოი, ბ. გურგენიძე და ვ. სიმაგინი, რომლებსაც ოთხნახევარ-ოთხნახევარი ქულა აქვთ.

კიევის ჯგუფში გროსმაისტერმა ტ. პეტროსიანმა ყაჩით დაამთავრა შეხვედრა ოსტატ ა. სოკოლსკისთან. 4½ ქულით ოი კვლავ ინარჩუნებს ლიდერობას.

ა. ბლაგიძემ მეექვსე ტურში წააგო პარტია ოსტატ ი. ნიკოლაევსკისთან (კიევი).

რედაქტორი პ. რატიანი.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექცია აცხადებს დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე 1957-58 სასწავლო წელს სტუდენტთა მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

1. აგრონომია — ქართული და რუსულ სექტორზე,
2. მეხილეობა-მებოსტნეობა და მევენახეობა — ქართულ სექტორზე,
3. მცენარეთა დაცვა — ქართულ სექტორზე,
4. სატყეო მეურნეობა — ქართულ და რუსულ სექტორზე,
5. სოფლის მეურნეობის წარმოების პროცესების მექანიზაცია — ქართულ სექტორზე,
6. სოციალისტური სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია ქართულ სექტორზე.

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე მიიღებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი განუსაზღვრელად ასაკისა, რომლებსაც აქვთ საშუალო განათლება და რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს.

განცხადებების მიღება და ჩარიცხვა იწარმოებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ინსტიტუტში შემომსვლელი პირის სამუშაო ადგილის ხასიათი შეესაბამება მის მიერ შესასწავლად არჩეულ სპეციალობას.

1. ინსტიტუტში უგამოცდოდ ჩაირიცხებიან: ა) ის პირნი, რომლებმაც საშუალო სკოლა დამთავრეს ოქროს ან ვერცხლის მედლით და მუშაობენ ინსტიტუტში არჩეული სპეციალობის მიხედვით, ბ) წარჩინების დიპლომით საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც მუშაობენ სოფლის მეურნეობაში და ინსტიტუტში შემოდიან თავიანთი სპეციალობის მიხედვით, გ) სამამულო ომის მონაწილენი, რომლებსაც აქვთ ფრიადოსნის ატესტატი და მუშაობენ ინსტიტუტში არჩეული სპეციალობის მიხედვით.

2. მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან: ა) სამამულო ომის მონაწილენი, მუხედავად დემობილიზაციის წლისა, თუ სამუშაო ადგილის ხასიათი შეესაბამება ინსტიტუტში არჩეულ სპეციალობას, ბ) ის პირნი, რომელთაც წარჩინებით აქვთ დამთავრებული საშუალო ტექნიკური სასწავლებელი, მუშაობენ სასწავლებელში მიღებული სპეციალობის მიხედვით და მათი სამუშაო ადგილის ხასიათი შეესაბამება ინსტიტუტში არჩეულ ფაკულტეტის პროფილს.

3. მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ ჩარიცხვის დროს უპირატესი უფლებით სარგებლობენ: ა) საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი, ბ) ის პირნი, რომელთაც აქვთ მუშაობის უფრო მეტი სტაჟი და შედარებით ჰაღალი კვალიფიკაცია ინსტიტუტში არჩეული სპეციალობის მიხედვით.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე 31 დეკემბრამდე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. საბუთი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. ცნობა სამუშაო ადგილიდან. შემოწმებული ამონაწერი შრომის ან კოლმეურნის შრომის წიგნაკიდან. ცნობაში ნათლად უნდა ჩანდეს მუშაობის სტაჟი, თანამდებობა და სპეციალობა. ამონაწერი კოლმეურნის შრომის წიგნაკიდან დამტკიცებულ უნდა იქნას გამგეობის მიერ და მასში ნაჩვენები უნდა იყოს გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა წლების მიხედვით მიმდინარე წლისა და ინსტიტუტში შემოსვლის წინა ორი წლის ძანძილზე ცალცალკე, 4. დახასიათება სამუშაოს უკანასკნელი ადგილიდან, ხელმოწერილი ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, 5. სამედიცინო დასკვნა (ფორმა № 286), შევსებული რაიონის პოლიკლინიკის (საავადმყოფოს) უბნის ექიმის მიერ, დასკვნაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ ინსტიტუტში შემომსვლელს ჯანმრთელობის შეულახავად შეუძლია შეათავსოს წარმოებაში მუშაობა უმაღლეს სასწავლებელში სწავლასთან, 6. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 7. წარმოების ხელმძღვანელის მიერ ბეჭდით შემოწმებული ოთხი ცალი ფოტოსურათი, გადაღებული (3×4).

შენიშვნა: ა) სამამულო ომის მონაწილეებმა უნდა დაურთონ აგრეთვე სამამულო ომში მონაწილეობის დამადასტურებელი საბუთი, ბ) დემობილიზებულებმა უნდა წარმოადგინონ ცნობა სამხედრო კომისარიატიდან საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევისა და დემობილიზაციის წლის ჩვენებით.

ინსტიტუტში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ დისციპლინებში სპეციალობების მიხედვით:

I. აგრონომიულ, მეხილეობა-მებოსტნეობის, მევენახეობისა და მცენარეთა დაცვის სპეციალობაზე: ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ბ) ქიმიაში (ზეპირი), გ) ფიზიკაში (ზეპირი).

II. სატყეო მეურნეობისა და სოფლის მეურნეობის წარმოების პროცესების მექანიზაციის სპეციალობაზე: ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ბ) მათემატიკაში (ზეპირი), გ) ფიზიკაში (ზეპირი).

III. სოციალისტური სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობაზე: ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ბ) მათემატიკაში (ზეპირი), გ) გეოგრაფიაში (ზეპირი), დ) სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი).

შენიშვნა: ის პირნი, რომლებიც ინსტიტუტში შემოდიან რუსულ სექტორზე, ნაცვლად ქართულ, ენისა გამოცდას აბარებენ რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

განცხადებები მიიღება 1957 წლის 31 დეკემბრამდე, მისაღები გამოცდები 1958 წლის 1 იანვრიდან 20 იანვრამდე, სწავლა დაიწყება 27 იანვარს.

კონსულტაციის მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში ყოველდღე 12 საათიდან 6 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის პროსპ. № 33/35.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია

დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ა. წ. 28, 29 და 30 ნოემბერს აწყობს

ვოკალისტთა კონკურსს

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა სასწრაფოდ უნდა შეიტანონ განცხადებები ფილარმონიის საქმეთა მმართველობაში (პლეხანოვის პროსპ. № 123) პროგრამითურთ, სარეკლამო მასალის შესადგენად.

ტელეგადაცემათა პროგრამა

21 ნოემბრისათვის

20.00 — დოკუმენტური ფილმი „დამოუკიდებელ განაში“, 20.30 — ახალი მხატვრული ფილმი „ულიანოვები ოჯახი“.

დღეს თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — რღვევა, **მარჯანიშვილის სახელობის** — ოტელო, (სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის აფხაზური კოლექტივის სპექტაკლი), **გრიბოედოვის სახელობის** — ხეები ზეზეულად კვდებიან, **მუსიკალური კომედიის** — დინარა, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ბორის ძნელაძე (აბონემენტი № 12, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ნამდვილი ადამიანი (5 ს. 30 წ.), **თოჯინების ქართული** — კონკია (4 ს.).

მოქალაქე **ნინო ილიას ასულმა ლომიძემ,** მცხოვრებმა ქ. თბილისში, კალიუბნის ქ. № 8, აღძრა საქმე ქ. თელავში პირველი მაისის ქ. № 60 მცხოვრებ მოქალაქე **რამან ზაქარიას-ძე ბეიტრიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ნელი გიორგის ასულმა ხვედელიანმა,** მცხოვრებმა გლდანში, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **გურამ ანტონის-ძე სიმონიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის გორეუბნის რაიონის სახალხო სასამართლო.

დედა ნინო, მამა ამბროსი, და თამარ, ძმები დავით, შალვა იუწყებიან

ეუფუნა ამბროსის ასულ ქოჩიაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-XI, 5 ს. სოფელ თერჯოლაში.

მეუღლე ქსენია, შვილები ნათელა, ცისანა, გივი იუწყებიან

ნესტორ ქიშვარდის-ძე ცინცაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23-XI, 8 ს. გამოსვენება 24-XI, 2 ს. ი. ნიკოლაძის I ჩიხი № 7.

მეუღლე თედორე, შვილი იმელსი, დები ანასტასია, მარდალო, მარიამ, ძმები ალექსანდრე, კონსტანტინე, ექვთიმე, სიმონ ლომთათიძეები ოჯახებით იუწყებიან

რახილ ნესტორის ასულ ვასაძე-ლომთათიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-XI, 4 ს. ქ. ბათუმში, გამოსვენება ცხაკაიას ქ. № 96.

მეუღლე ელენე, შვილები ოთარ, ნანა, მარიამ, ლამარა ვერულაძვილები, რძალი თინათინ, სიძეები შ. ჯანელიძე, ზ. ჭოლარია ოჯახებით იუწყებიან

დომენტი ავქსენტის-ძე ვერულაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-XI ქუთაისში, გამოსვენება ყაზბეგის ქ. № 29.

ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის და 65-ე საშუალო სკოლის თანამშრომლები იუწყებიან უხუცესი მასწავლებლის

მიხეილ კონსტანტინეს-ძე პატარიძის

გარდაცვალებას.

შვილი გუგული ნადირაშვილი, და ეკატერინე, სიძე ა. გადახბაძე, ძმები სოლომონ, ილია ოჯახებით იუწყებიან

ნატალია ალექსის ასულ ბეზარაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22-XI, 8 ს. გამოსვენება 23-XI, 4 ს. ყიფიანის ქ. № 31.

ოჯახი **ანტონის ასულ ჯინჭარაძე-თოდრიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-XI ოხუმში, გამოსვენება ჯგუბურიას ქ. № 40.

ალექსანდრ ალექსის-ძე ბოლოკინის

ანა ალექსის ასულ ბოლოკინის

ალექსანდრ ალექსის-ძე ბოლოკინის

ანა ალექსის ასულ ბოლოკინის

**ალექსანდრ ალექსის-ძე ბოლოკინ